პროექტები სამოქალაქო განათლებაში

თბილისი
2024

დამხმარე სახელმძღვანელო მასწავლებლებისთვის

პროექტები სამოქალაქო განათლებაში

პროექტები მომზადებულია USAID-ის სამოქალაქო განათლების პროგრამის ფარგლებში

პროექტები სამოქალაქო განათლებაში

დამხმარე სახელმძღვანელო მასწავლებლებისთვის

ავტორები:

ნინო გვარამაძე

ირინა ჯვარშეიშვილი

რედაქტორი: რიტა ბაინდურაშვილი

2024 წ.

რესურსი მომზადდა ამერიკელი ხალხის მხარდაჭერისა და ამერიკის შეერთებული შტატების საერთაშორისო განვითარების სააგენტოს ძალისხმევის საფუძველზე. ერთპიროვნული პასუხისმგებლობა მოცემულ რესურსში ასახული ინფორმაციისა და მასში გამოთქმული მოსაზრებების თაობაზე ეკისრებათ ავტორებს და ის არ წარმოადგენს PH International-ის ან ამერიკის შეერთებული შტატების საერთაშორისო განვითარების სააგენტოსა ან ამერიკის შეერთებული შტატების მთავრობის შეხედულებებს.

წინასიტყვაობა

2022-2027 წლებში ორგანიზაცია PH International, ამერიკის შეერთებული შტატების საერთაშორისო განვითარების სააგენტოს (USAID) დაფინანსებით, USAID-ის სამოქალაქო განათლების პროგრამას ახორციელებს. პროგრამის მიზანია მაღალი მოქალაქეობრივი შეგნების, სამოქალაქო პროცესებში ჩართული ახალგაზრდების აღზრდა. პროგრამა ითვალისწინებს ტექნოლოგიების დანერგვას სამოქალაქო განათლების სწავლა-სწავლების პროცესში, სკოლაში დემოკრატიული კულტურის დანერგვის ხელშეწყობას, ბიზნესისა და სკოლების დაკავშირებას. საქართველოს მასშტაბით გაერთიანებული პარტნიორი ორგანიზაციები, პროგრამის ფარგლებში გადანაწილებული ფუნქციური დატვირთვით, ამ მიზნის მიღწევას უწყობენ ხელს.

წინამდებარე სახელმძღვანელო პროგრამის ფარგლებში სამოქალაქო განათლების პედაგოგთა ფორუმმა შექმნა. სახელმძღვანელო სარეკომენდაციო ხასიათისაა და განკუთვნილია მასწავლებლებისთვის, ხელს უწყობს მოსწავლეთა მიერ, პედაგოგების დახმარებით, ეროვნული სასწავლო გეგმისა და სტანდარტის შესაბამისი პროექტების განხორციელებას. ამ აქტივობების მიზანი ახალგაზრდებში დემოკრატიული ღირებულებების, ლიდერობისა და გადაწყვეტილების მიღების უნარის განვითარებაა. თითოეულ პროექტში მოცემულია ბევრი სასარგებლო და საინტერესო რესურსი, რაც მიღებული ცოდნის პრაქტიკაში განხორციელების საშუალებას იძლევა. პროექტების განხორციელებით მოსწავლეები ხელს შეუწყობენ სასკოლო დემოკრატიის განვითარებას, თემში მოქალაქეობრივი პასუხისმგებლობის გაძლიერებას და პრობლემების გადაჭრას, რაც აქტიური მოქალაქეების ჩამოყალიბების საფუძველია.

გისურვებთ წარმატებებს!

სარჩევი

პროექტი 1. ჩვენი კუთხის ღირსშესანიშნაობები

(ნინო გვარამაძე)

პროექტი 2. სამოქალაქო აქტივიზმი ცვლილებებისთვის

(ირინა ჯვარშეიშვილი)

პროექტი 3. საერთაშორისო ჰუმანიტარული სამართალი შეიარაღებული კონფლიქტის დროს

(ირინა ჯვარშეიშვილი)

პროექტი 1. ჩვენი კუთხის ღირსშესანიშნაობები

თემა	საქართველო და გლობალიზაცია
საკითხი	გლობალიზაციის შედეგები ჩვენთვის
მიზანი	ტურიზმის განვითარების ხელშეწყობა მუნიციპალიტეტის/თემის შესახებ ინფორმაციის გავრცელების გზით. თემისთვის სასარგებლო საქმიანობის გაწევით მოსწავლეთა აქტიურ მოქალაქეებად ჩამოყალიბება.
საგანთაშორის კავშირი	ისტორია, გეოგრაფია, ისტ. უცხო ენა

პროექტის შესაბამისობა მოქალაქეობის სამიზნე ცნებებთან

საზოგადოება	დემოკრატია	სამოქალაქო მონაწილეობა	მდგრადი განვითარება
• მოსწავლეები გააცნობიერებენ, თუ რა მნიშვნელობა აქვს საკუთარი კუთხის პოპულარიზაციაზე ზრუნვას პიროვნული განვითარების ხელშეწყობის პროცესში; • სხვადასხვა სოციალურ ჯგუფთან ურთიერთობა გააფართოებს მათ წარმოდგენას საზოგადოებაზე	• მოსწავლეები შეძლებენ დემოკრატიის პრინციპების ცხოვრებისეულ სიტუაციებთან დაკავშირებას. • გააცნობიერებენ საკანონმდებლო ბაზის მნიშველობას. • ადგილობრივ თვითმმართველობასთან თანამშრომლობით დაინახავენ დემოკრატიას მოქმედებაში	• მოსწავლეები დაინახავენ საკუთარი, როგორც აქტიური მოქალაქის როლსა და მნიშვნელობას თემში არსებული გამოწვევების შემცირებაში; • მოსწავლეები გააცნობიერებენ და გამოიმუშავებენ აქტიური მოქალაქეობისთვის საჭირო თვისებებს.	• მოსწავლეებს გაუჩნდებათ კულტურული თუ სხვა ღირსშესანიშნაობების აღრიცვისა და მოვლის მოტივაცია • გააცნობიერებენ ლოკალური ქმედების კავშირს გლობალურ.

რეკომენდაცია მასწავლებელს

რეკომენდაცია მასწავლებელს

შემოთავაზებული პროექტი სარეკომენდაციო ხასიათისაა და რამდენიმე მიმართულებას (არქიტექტურული ძეგლები, საკულტო ნაგებობები, მუზეუმები, ბუნებრივი ძეგლები, დასვენების ადგილები, კვების ობიექტები, მეურნეობის სპეციფიური დარგები, როგორიცაა: მეღვინეობა, მეთუნეობა, თექაზე მუშაობა ....) მოიცავს. მოსწავლეებს შეუძლიათ, აირჩიონ მიმართულებები და ისინი საკუთარი გარემოს სპეციფიკას მოარგონ. გარდა ამისა,

პროექტის დასრულების შემდეგ, მოსწავლეებს, შესაძლოა, სურვილი გაუჩნდეთ კონკრეტული ობიექტის მოვლის, განვითარების ან დაარსებისაც კი, რაც, ცხადია, ახალი პროექტის თემა იქნება.

I ეტაპი - პრობლემის იდენტიფიცირებისა და დასაბუთების ეტაპი

პროექტის დასაბუთების ნიმუში

გლობალიზაციის პირობებში ადამიანების ერთი ქვეყნიდან მეორეში გადაადგილება ბუნებრივ პროცესად მიიჩნევა. ზოგი სასწავლებლად ან სამუშაოდ მიდის სხვა ქვეყანაში, ზოგი თავის ქვეყანაში არსებულ საფრთხეებს (ომი, პოლიტიკური დევნა ...) გაურბის, ზოგი მოგზაურობს და უცხო ქვეყნებს ეცნობა. განსხვავებულია გადაადგილების ვადებიც და მიზნებიც. დგება საზოგადოებაში ინტეგრირების, საკუთარი კულტურული იდენტობის დაკარგვა-შენარჩუნების ან სხვისთვის გაცნობის აუცილებლობა, რაც საკუთარი კულტურის ცოდნას მოითხოვს. საქართველოში ტურიზმის ერთ-ერთ პრიორიტეტულ მიმართულებად აღიარების პირობებში მნიშვნელოვანია, ხელი შეეწყოს მისი კულტურის პოპულარიზაციას და ტურისტული ადგილების (სხვადასხვა გემოვნებაზე მორგებული) შესახებ ინფორმაციის გავრცელებას. ეს დაეხმარება ამა თუ იმ კუთხის ტურისტული პოტენციალის ზრდას და ადგილობრივი მოსახლეობის ეკონომიკური მდგომარეობის გაუმჯობესებას. პროექტის იდეა ასეთია: მოსწავლეებმა შექმნან საკუთარი მუნიციპალიტეტის (ან თემის) ტურისტული ობიექტების ელექტრონული რუკა აღწერებით. ზემოთ აღნიშნული სარგებლის გარდა, მოსწავლეები თავადაც კარგად გაეცნობიან საკუთარ გარემოს.

ნაბიჯები პრობლემის იდენტიფიცირებისთვის

1. გონებრივი იერიში „რა არის ტურიზმი?“
2. ვიდეოს - „რა არის ტურიზმი?“- ნახვა;
3. დისკუსია შემდეგი კითხვების ირგვლივ:
   - რომელი ობიექტებია საინტერესო ტურიზმის თვალსაზრისით?
   - რომელ ობიექტები შეიძლება, ჩაითვალოს საინტერესოდ ჩვენს მუნიციპალიტეტში/თემში?
4. ტურიზმთან დაკავშირებული სტატისტიკის გაცნობა;
5. საქართველოში ტურიზმის ძირითადი პრობლემების გაცნობა (ერთ-ერთი მათგანია ერთიანი საინფორმაციო ბაზის არარსებობა);
6. ტურიზმის შესახებ საქართველოს კანონის გაცნობა (შერჩეული ტერმინებისა და კანონის არსი).

რესურსები პრობლემის იდენტიფიცირებისთვის

1. [რა არის ტურიზმი]() ?
2. [რა არის სამედიცინო ტურიზმი?]()
3. [ტურიზმის რეგულირება]()
4. [ტურიზმის სფეროში არსებული პრობლემები]()
5. [საქართველოს კანონი ტურიზმის შესახებ]()

II ეტაპი - მიზნების, ამოცანებისა და მათ მისაღწევად საჭირო აქტივობების გამოკვეთა

რეკომენდაცია მასწავლებელს

ვინაიდან ეს პროექტი (ისე, როგორც სამოქალაქო განათლების სხვა პროექტები) ემსახურება მოსწავლეთა მიერ მიღებული თეორიული ცოდნის პრაქტიკაში გადატანას და მოსწავლეებში გარკვეული ცოდნის, უნარ-ჩვევებისა და დამოკიდებულებების ფორმირებას, მოსალოდნელია, რომ მოსწავლეთა მიერ დანახული მიზნის (ტურიზმის განვითარების ხელშეწყობა მუნიციპალიტეტის/თემის შესახებ ინფორმაციის გავრცელების გზით) გარდა, მასწავლებელი სხვა მიზნსაც ხედავდეს, კერძოდ - თემისთვის სასარგებლო საქმიანობის გაწევით მოსწავლეთა აქტიურ მოქალაქეებად ჩამოყალიბებას.

პროექტის მიზანი:

მუნიციპალიტეტში/თემში ტურიზმის განვითარების ხელშეწყობა ელექტრონული საინფორმაციო ბაზის შექმნით.

მიზნის განსახორციელებლად გადასაჭრელი ამოცანები:

1. ტურისტული პოტენციალის მქონე ობიექტების კვლევა;
2. ელექტრონული რუკის დამზადება;
3. ორენოვანი (ქართული და ინგლისური) ტექსტის მომზადება;
4. ინფორმაციის გავრცელება რუკის შესახებ და მისი ბმულის ხელმისაწვდომ ადგილზე განთავსება.

აქტივობები პირველი ამოცანის გადასაჭრელად

- რესურსების განაწილება შესასწავლად;
- მსჯელობა შესწავლილი მასალის ირგვლივ;
- კვლევის ჩატარება მოსახლეობაში (გადაწყვეტილების მიღება, ვისთან ჩაატარონ კვლევა, კითხვარის (იხ. ნიმუში დანართი 1) შედგენა, გამოკითხვის ჩატარება, მასალის დამუშავება);
- მსჯელობა იმაზე, თუ როგორ რუკას/რუკებს შეადგენენ. რუკა შეიძლება, მოიცავდეს ყველა ობიექტს ერთდროულად, ან, შესაძლოა, შედგეს ცალ-ცალკე რუკებიც - თემების მიხედვით (არქიტექტურული ძეგლები, კვების ობიექტები, ბუნებრივი ძეგლები ....). ეს დამოკიდებულია ობიექტების რაოდენობაზე და მოსწავლეთა სურვილზე. გარდა ამისა, შეუძლიათ, შეარჩიონ პლატფორმა, რომელზეც რუკას მოამზადებენ.

რესურსები პირველი ამოცანის აქტივობებისთვის:

1. 138 ისტორიული ძეგლი შიდა ქართლში.
2. 120 ისტორიული ძეგლი კახეთში
3. კახეთის კულტურული ძეგლები
4. 82 ისტორიული ძეგლი იმერეთში
5. იმერეთის ძეგლები
6. 82 ისტორიული ძეგლი სამცხე-ჯავახეთში
7. სამცხე-ჯავახეთის ძეგლები
8. რაჭა-ლეჩხუმის და ქვემო სვანეთის ისტორიული ძეგლები
9. კულტურული მემკვიდრეობის ძეგლები სამეგრელო-ზემო სვანეთის მხარეში
10. 62 ისტორიული ძეგლი აჭარაში

11. 165 ძეგლი ქვემო ქართლში
12. 87 ისტორიული ძეგლი მცხეთა-მთიანეთში
13. 336 ბუნებრივი ძეგლი საქართველოში

ცხადია, რომ მოსწავლეები შეარჩევენ თავიანთი მხარის, მუნიციპალიტეტის/თემის ძეგლებს და ყველა რესურსის დამუშავება არ დასჭირდებათ.

აქტივობები მეორე ამოცანის გადასაჭრელად

- ობიექტების მონახულება. მოსწავლეები ჯგუფებად იყოფიან და ობიექტებს ტერიტორიული პრინციპით ინაწილებენ, იღებენ ფოტოებს, ზომავენ მანძილებსა და დროს, აკეთებენ ჩანაწერებს;
- მსჯელობა საბოლოო გადაწყვეტილების მისაღებად, თუ როგორი იქნება რუკა. მისი განახლება შესაძლებელი უნდა იყოს დროდარო;
- აპლიკაციის შერჩევა, შესწავლა ან ცოდნის გააქტიურება (ისტ-ის მასწავლებლის დახმარებით);
- მოკლე ანოტაციების მომზადება ობიექტებისთვის;
- რუკის მომზადება.

შენიშვნა: რუკა შეიძლება, მომზადდეს შემდეგი აპლიკაციებიდან ერთ-ერთის დახმარებით:

- Mapbox.
- ArcGIS StoryMaps.
- Google charts.
- StoryMapJS.
- Visme.
- Zeemaps.
- Shorthand.
- Felt.

აქტივობები მესამე ამოცანის გადასაჭრელად

- მსჯელობა იმაზე, თუ როგორ უნდა მოხდეს რუკის პოპულარიზაცია (შესაძლებელია ბმულის განთავსება სკოლის ვებგვერდზე და QR კოდის განთავსება მუნიციპალიტეტის შემოსასვლელში);
- ადგილობრივი ხელისუფლებისთვის რუკის წარდგენა და მიმართვა მისი QR კოდის განთავსების თაობაზე;
- კოდის განთავსება.

თანამშრომლობა და გარეშე პირთა/ინსტიტუციათა ჩართულობა და პარტნიორები

პროექტის განხორციელებაში ჩაერთვებიან თემის წევრები (კვლევის ეტაპზე), მოსწავლეთა მშობლები და ადგილობრივი თვითმმართველობის წარმომადგენლები.

პროექტის მდგრადობა

პროექტის მდგრადობას განაპირობებს ინტერნეტხელმისაწვდომობა და მისი რედაქტირების შესაძლებლობა.

მესამე ეტაპი - შეფასება და წარდგენა

აქტივობები

- შიდა შეფასება (რა გამოვიდა კარგად, რა არის შემდგომში გამოსასწორებელი);
- პრეზენტაციის მომზადება;
- პროექტის შედეგების წარდგენა სასკოლო საზოგადოებასთან.

პროცესზე დასაკვირვებლად შეიძლება შემდეგი ჩეკლისტის გამოყენება

რას ვაფასებთ?	**დესკრიპტორები/აღწერა[1]**	**გრადაცია**		
		ელემენტარული 1	**საშუალო 2**	**მაღალი 3**
მონაწილეობის ხარისხი	იჩენს ინიციატივას			
	აქტიურობს შეხვედრების დროს			
	მონაწილეობს პრობლემის იდენტიფიცირების ეტაპზე			
	მონაწილეობს პროექტის დაგეგმვის ეტაპზე			
	მონაწილეობს პროექტის რელიზების ეტაპზე			
	მონაწილეობს პროექტის შეჯამების ეტაპზე			
შესრულებული სამუშაოს ხარისხი	ლოგიკურად მსჯელობს პროექტის დაგეგმვის ეტაპზე			
	ხარისხიანად სრულებს დავალებებს პროექტის რელიზების ეტაპზე			
	ხარისხიანად შეაქვს წვლილი პროექტის შეჯამების ეტაპზე			
ვადები	მიღებულ დავალებებს ასრულებს დროულად			
კომუნიკაცია და თანამშრომლობა	თავაზიანად ურთიერთობს თანაკლასელებთან			
	მუშაობს გუნდში			
	შეუძლია კონფლიქტის მშვიდობიანად გადაჭრა			
შეთანხმებებისა და ვალდებულებების შესრულება	სწორად აფასებს საკუთარ შესაძლებლობებს ვალდებულებების აღებამდე			
	ასრულებს შეთანხმებებს			
ცოდნა და განვითარება[2]	ავლენს პროექტით გათვალისწინებული უნარების გაუმჯობესებას			
	ავლენს პროექტით გათვალისწინებული ცოდნის გაუმჯობესებას			

დანართი 1 - კითხვარი

[1] მასწავლებელს შეუძლია დაამატოს/წაშალოს დესკრიპტორი პროექტის თავისებურებიდან გამომდინარე

[2] ცოდნისა და განვითარების დესკრიპტორები უნდა დაზუსტდეს პროექტის შინაარსისა და განხორციელების გზებიდან გამომდინარე

მოგესალმებით,

ვიკვლევთ ჩვენს მუნიციპალიტეტში/თემში ტურიზმის განვითარების შესაძლებლობებს. გთხოვთ, გვიპასუხოთ, რომელი ღირსშესანიშნაობა გახსენდებათ და ზუსტად სად არის ის?

- ისტორიული ძეგლი ----------
- საკულტო ნაგებობა (ეკლესია, მეჩეთი .....) ----------
- მუზეუმი ან სახლმუზეუმი ----------
- ტბა .....
- მდინარე .....
- ტყე .....
- ჩანჩქერი .....
- ხალხური რეწვის ოსტატები (თექა, მეთუნეობა, ხალიჩების ქსოვა .....) .....
- ღვინის მარანი .....
- კვების ობიექტი .....
- გასართობი ცენტრი .....
- სხვა .....

მადლობას გიხდით დახმარებისთვის.

პროექტი 2. სამოქალაქო აქტივიზმი ცვლილებებისთვის

თემა	ადამიანის უფლებები
საკითხი	სამოქალაქო აქტივიზმი
მიზანი	სამოქალაქო აქტივიზმის შესახებ სასკოლო საზოგადოების ინფორმირებულობისა და ცნობიერების დონის გაზრდით აქტიური სამოქალაქო საზოგადოების ჩამოყალიბების პროცესის ხელშეწყობა
საგანთაშორისი ინტეგრაცია	ინგლისური ენა, ხელოვნება, ისტორია

პროექტის შესაბამისობა მოქალაქეობის სამიზნე ცნებებთან

საზოგადოება	**დემოკრატია**	**სამოქალაქო მონაწილეობა**	**მდგრადი განვითარება**
• მოსწავლეები გაიაზრებენ სათემო ცხოვრებაში მონაწილეობას, როგორც ადამიანის მოთხოვნილებების (სოციალიზაცია, პატივისცემა, თვითდამკვიდრება) დაკმაყოფილები სთვის ერთ-ერთ აუცილებელ წინაპირობას;	• მოსწავლეები დააკავშირებენ დემოკრატიის პრინციპებს ცხოვრებისეულ სიტუაციებთან; • გაიაზრებენ სამოქალაქო აქტივიზმის როლსა და მნიშვნელობას დემოკრატიული საზოგადოების ჩამოყალიბების პროცესში.	• მოსწავლეები დაინახავენ საკუთარი, როგორც აქტიური მოქალაქის როლსა და მნიშვნელობას თემში არსებული გამოწვევების შემცირებაში; • იზრუნებენ თავიანთი ჩართულობით პრობლემების შემცირებასა და მოგვარებაზე; • სამოქალაქო აქტივიზმის შესახებ საზოგადოების ინფორმირებით ხელს შეუწყობენ აქტიური სამოქალაქო საზოგადოების ჩამოყალიბებას.	• გააცნობიერებენ სამოქალაქო აქტივიზმში ჩართულობის პოზიტიურ შედეგებს გრძელვადიან პერსპექტივაში; • დაინახავენ საკუთარ, როგორც მოქალაქის როლს გლობალური პრობლემების მოგვარების პროცესში.

• გაიაზრებენ საკუთარ როლს და თავიანთი გააქტიურების მნიშვნელობას საზოგადოების განვითარების პროცესში.			

პროექტის კავშირი დემოკრატიული კულტურის კომპეტენციებთან

ღირებულებები: ადამიანის ღირსებისა და უფლებების დაფასება; დემოკრატიის, სამართლიანობის, კეთილსინდისიერების, თანასწორობისა და კანონის უზენაესობის დაფასება.

დამოკიდებულებები: პატივისცემა; მოქალაქეობრივი აზროვნება; პასუხისმგებლობა; თავდაჯერებულობა; გაურკვევლობისადმი შემწყნარებლური დამოკიდებულება.

უნარები: დამოუკიდებლად სწავლის უნარ-ჩვევები; ანალიტიკური და კრიტიკული აზროვნების უნარ-ჩვევები; ემპათია; მოქნილობა და შეგუება; თანამშრომლობის უნარ-ჩვევები.

ცოდნა და კრიტიკული გააზრება: საკუთარი თავის შეცნობა და კრიტიკული გააზრება; მსოფლიოს ცოდნა - შემეცნება და კრიტიკული აღქმა.

I ეტაპი - პრობლემის იდენტიფიცირებისა და დასაბუთების ეტაპი

პრობლემის იდენტიფიცირებისა და დასაბუთებისთვის გადასადგმელი ნაბიჯები

გონებრივი იერიში - სამოქალაქო აქტივიზმის როლი აქტიური სამოქალაქო საზოგადოების ჩამოყალიბების პროცესში;

სამოქალაქო აქტივიზმის არსი და მნიშვნელობა - განმარტების შეთავაზება;

სამოქალაქო აქტივიზმი- (საქართველოში/ მსოფლიოში) არსებული მნიშვნელოვანი ქეისების შესახებ ვიდეო /ფოტო რესურსების გაზიარება მოსწავლეებისთვის;

სამოქალაქო აქტივიზმის როლი დემოკრატიული სახელმწიფოს ჩამოყალიბების პროცესში;

მასალის დამუშავება და დისკუსიის მოწყობა შემდეგი საკვანძო კითხვებით:

როგორ აისახება სამოქალაქო აქტივიზმი (დადებითად/უარყოფითად) ქვეყნის განვითარების პროცესზე?

როგორი დამოკიდებულებები აქვთ საზოგადოების წევრებს სამოქალაქო აქტივიზმის მიმართ, ერთვებიან თუ არა მასში, რატომ?

რატომ უნდა გავზარდოთ სამოქალქო აქტივიზმის შესახებ ცნობიერება სასკოლო საზოგადოებაში?

როგორ უნდა ვიზრუნოთ სამოქალაქო აქტივიზმის როლის წარმოსაჩენად აქტიური სამოქალაქო საზოგადოების ჩამოყალიბების პროცესში?

საზოგადოებაში არსებულ, კონკრეტულად, რა პრობლემის აღმოფხვრას შეუწყობს ხელს ჩვენი პროექტის განხორციელება?

რეკომენდაცია მასწავლებელს

შემოთავაზებული პროექტის ნიმუში მასში გამოკვეთილ საკითხს - სამოქალქო აქტივიზმს ფართო კონტექსტში განიხილავს, თუმცა, შესაძლოა, ის სხვადასხვა ქვესაკითხად ჩაიშალოს (მაგალითად: სამოქალაქო აქტივიზმი და ადამიანის უფლებები; სამოქალაქო აქტივიზმის როლი ქვეყნის დემოკრატიულ სახელმწიფოდ ჩამოყალიბების პროცესში; სამოქალაქო აქტივიზმი, როგორც ძლიერი სამოქალაქო საზოგადოების ჩამოყალიბების გარანტი; სამოქალაქო აქტივიზმი და ადამიანის უფლებები...) და თითოეულ ქვესაკითხზე დამოუკიდებელი პროექტი გაკეთდეს. იმისათვის, რომ მოსწავლეთა მონაწილეობის ხარისხი იყოს მაღალი, უმჯობესია, მათ თავად აირჩიონ კონკრეტული მიმართულება, რაშიც შემოთავაზებული რესურსები დაგეხმარებათ.

პრობლემის დასაბუთების ნიმუში

სამოქალაქო აქტივიზმი ქვეყანაში დემოკრატიული პროცესების გავითარების, სოციალურ-ეკონომიკური თუ კულტურული წინსვლის აუცილებელი წინაპირობაა. სამოქალაქო აქტივიზმი აქტიურ მოქალაქეობასა და ჩართულობას გულისხმობს საზოგადოებრივი ცხოვრების სხვადასხვა სფეროში; ასევე, მოქალაქეთა პასუხისმგებლიან დამოკიდებულებას ქვეყანაში მიმდინარე პროცესების მიმართ.

სამოქალაქო აქტივიზმში ჩართულობა ჩვენი უბნის, სოფლის, ქალაქისა და ქვეყნის წინაშე არსებული საკითხების გადაწყვეტაში მონაწილეობას გულისხმობს. ეს შეიძლება, იყოს დასუფთავების, საქველმოქმედო, საპროტესტო აქციაში მონაწილეობა; პეტიციების შედგენა, ბოიკოტი, დემონსტრაციები, ქუჩის გამოსვლები, გაფიცვები თუ სხვა სახით განხორციელებული სამოქალაქო აქტივიზმის ფორმები საზოგადოებისა და ქვეყნის საკეთილდღეოდ.

განსაკუთრებული აქტუალობა სამოქალაქო აქტივიზმმა მას შემდეგ შეიძინა, რაც მსოფლიო დემოკრატიული გამოწვევების წინაშე დადგა, მაგალითად: ბრძოლა სოციალური სამართლიანობისთვის, რომელიც, ძირითადად, 1950-იან და 1960-იან წლებში მიმდინარეობდა აშშ-ში შავკანიანი ამერიკელებისთვის თანაბარი უფლებების მოსაპოვებლად; ასევე, ფემიზნიზმის ტალღები -გამოსვლები ქალთა თანაბარი უფლებებისა და შესაძლებლობებისთვის (ეკონომიკურ, პოლიტიკურ, საზოგადოებრივ ცხოვრებაში).
აღსანიშნავია სამოქალაქო აქტივიზმის თვალსაჩინო მაგალითები საქართველოშიც (პარტიზანული მებაღეობა, დასუფთავების აქციები, საპროტესტო აქციები ტყიბულში, ჭიათურაში, დემონტრაციები სხვადასხვა საზოგადოებრივი პრობლემის მოგვარებასთან დაკავშირებით, 13 ივნისს თბილისში მომხდარი წყალდიდობის შემდგომი მოვლენები და ა.შ), რომლებიც წარმოაჩენს, თუ როგორ შეიძლება, მცირე ინიციატივებმა და ინდივიდუალურმა ქმედებებმა დიდი ცვლილებები და სარგებელი მოიტანოს საზოგადოებისთვის.

სამოქალაქო აქტივიზმსა და აქტიურ მოქალაქეებს ჩვენი ქვეყნის განვითარების ისტორიულ გზაზე ყოველთვის უდიდესი მნიშვნელობა ჰქონდათ. ილია ჭავჭავაძის მთელი ცხოვრება და მოღვაწეობა ნათელი მაგალითია იმისა, თუ როგორი უნდა იყოს აქტიური მოქალაქე. ილია არა მხოლოდ თავად იყო აქტიური ამ პროცესებში, არამედ თავად იყო შემოქმედი და სულის ჩამდგმელი სამოქალაქო აქტივიზმისა საქართველოში. მან დააარსა წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოება, რომელიც ეროვნულ საქმეს - ქართული ენის შენარჩუნებას, განათლების გავრცელებასა და კულტურის განვითარებას ემსახურებოდა; ასევე, 1978 წელს ქართული ენის დასაცავად ქუჩაში გამოსულმა ახალგაზრდებმაც შეძლეს, იმპერიული რეჟიმის წინააღმდეგ მოეღწიათ წარმატებისათვის და საკუთარი სახელმწიფო ენა შეენარჩუნებინათ. ეს ნაბიჯი კიდევ უფრო დიდი მნიშვნელობის გამოსვლებისა და დემონსტრაციების მამოტივირებელი ფაქტორი გახდა შემდგომ; 1989 წლის 9 აპრილს ეროვნული თავისუფლებისთვის მებრძოლმა საზოგადოებამ შეძლო, ჯაჭვი გაერღვია დამოუკიდებლობისაკენ. სწორედ ამ ადამიანების ბრძოლამ გამოიღო შედეგი და ქართველმა ხალხმა ორი წლის თავზე დამოუკიდებლობა მოიპოვა.

მნიშვნელოვანია, ასევე, აღინიშნოს საქართველოში თანამედროვე სამოქალაქო აქტივიზმის მაგალითი - 13 ივნისის წყალდიდობა და მასთან დაკავშირებეული ტრაგედია, რომლის დროსაც 20-მდე ადამიანი და ასობით ცხოველი დაიღუპა. ამ ამბავმა გააერთიანა რიგითი მოქალაქეები და მათ თვითორგანიზებულად დაიწყეს არსებული პრობლემის მოსაგვარებლად ბრძოლა. მოქალაქეებმა ჩათვალეს, რომ თითოეულ მათგანს შეეძლო,

თუნდაც ძალიან მცირე წვლილი შეეტანა (ქუჩების გასუფთავება, ცხოველების პოვნა და ვოლიერებში დაბრუნება, ხალხისათვის დახმარების გაწევა, ტანსაცმელისა და სხვა საჭირო პროდუქტების შეგროვება) იმ დამანგრეველი შედეგების გამოსასწორებლად, რაც ამ მძიმე ტრაგედიამ მოუტანა ქალაქს.

სამოქალაქო აქტივიზმს დიდი მნიშვნელობა ენიჭება ქვეყნის დემოკრატიული პროცესების, კარგი მმართველობის დანერგვისა და სოციალური საკითხების გადაჭრის კუთხითაც. აქტიურ მოქალაქეებს პოზიტიური გავლენა აქვთ როგორც კონკრეტულ შემთხვევებში, ისე მთლიანად საზოგადოებრივი ცხოვრების გაუმჯობესების თვალსაზრისით.

შესაბამისად, მნიშვნელოვანია, სამოქალაქო აქტივიზმის შესახებ ცნობიერების ამაღლება სკოლის ასაკიდანვე დაიწყოს. მოსწავლეებში მოხდეს ცოდნისა და უნარების გაუმჯობესება აქტივიზმის ინსტრუმენტების შესახებ, რათა ისინი გახდნენ აქტიური მოქალაქეები და პოზიტიური ცვლილებების განხორციელება შეძლონ; მნიშვნელოვანია, ასევე, სამოქალაქო ღირებულებების ჩამოყალიბება მოსწავლეებში, საზოგადოების სამოქალაქო აქტიურობის ხელშეწყობა და საზოგადოების საჭიროებებზე ორიენტირებული საქმიანობის წახალისება.

მოსწავლეებს გააზრებული უნდა ჰქონდეთ სამოქალაქო ღირებულებები და პასუხისმგებლობები; ჰქონდეთ თეორიული და პრაქტიკული ცოდნა სამოქალაქო აქტივიზმის შესახებ, რათა შეძლონ, თავად დაგეგმონ და განახორციელონ სხვადასხვა აქტივობა, რომლებიც მიმართული იქნება თემის/საზოგადოების პრობლემის მოგვარებაზე, რაც სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანია ძლიერი სამოქალაქო საზოგადოების შექმნისა და ქვეყნის განვითარებისთვის.

რესურსები პრობლემის იდენტიფიცირებისა და პროექტის აქტივობების განხორციელებისთვის

- სამოქალაქო აქტივიზმის მნიშვნელობა https://cure.erasmus-plus.org.il/pluginfile.php/2716/mod_resource/content/2/Students%20Activism%20in%20Georgia_Research_report_GEO.pdf
- სამოქალაქო აქტივიზმის ლექციების ციკლი - https://www.youtube.com/watch?v=Y0vdiLaJzOc&list=PLjiXkrLLbF0dHOwMcMNomljETJ6aXKnji&index=2
- "მოქალაქის როლი პოლიტიკაში - რას ნიშნავს სამოქალაქო აქტივიზმი" https://ge.boell.org/sites/default/files/2019-11/Role_of_Citizen_in_Politics_Ge.pdf
- სამოქალაქო აქტივიზმი საქართველოში - http://cela.ge/ge/system/files/conference_papers._tk.pdf
- სამოქალაქო საზოგადოება - https://www.youtube.com/watch?v=GN6GKoO3PDk
- ფეხტური ქალაქში, როგორც სწავლების მეთოდი - https://kristisweb.wordpress.com/2022/07/31/ფეხტური-ქალაქში-როგორც-ს/
- სამოქალაქო საზოგადოება და მონაწილეობა - https://www.civiceducation.ge/ka/lessons/1-8
- "წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების" შესახებ - https://archive.gov.ge/ge/tsera-kitkhvis-gamavrtselebeli-sazogadoeba-2
- სამოქალაქო უფლებებისთვის ბრძოლა - https://www.history.com/topics/black-history/civil-rights-movement

- როგორ შევქმნათ google-ის კითხვარი

II ეტაპი - მიზნების, ამოცანებისა და მათ მისაღწევად საჭირო აქტივობების გამოკვეთა

რეკომენდაცია მასწავლებელს

შემოთავაზებული პროექტი სარეკომენდაციო ხასიათისაა. მასში მოცემული მიზნები, ამოცანები თუ აქტივობები შესაძლებელია, კონკრეტულად თქვენი მოსწავლეების საჭიროებებსა და ხედვას მოერგოს. მნიშვნელოვანია, პროექტის ფარგლებში, მოზარდებთან ერთად, აუცილებლად ჩართოთ მათი მშობლები, მასწავლებლები; გაიზიაროთ მათი გამოცდილება და ღიად ისაუბროთ აღნიშნული საკითხის მნიშვნელობაზე, ხელი შეუწყოთ მოსწავლეებისა და მათ გარშემო არსებული საზოგადოების ურთიერთთანამშრომლობას ამ საკითხებზე; მისცეთ მათ თანაბარი ჩართულობისა და სხვადასხვა აქტივობაში მონაწილეობის შესაძლებლობა.

მოსწავლეების ჩართულობისა და მონაწილეობის ხარისხის გასაზრდელად ეს მასალა სანიმუშოდ შესთავაზეთ მათ და ერთად (მასწავლებლის დახმარებით) განსაზღვრეთ მათი პროექტის დეტალები.

პროექტის მიზნის, ამოცანებისა და აქტივობების ნიმუში

მიზანი: სამოქალაქო აქტივიზმის შესახებ სასკოლო საზოგადოების ინფორმირებულობისა და ცნობიერების დონის გაზრდით აქტიური სამოქალაქო საზოგადოების ჩამოყალიბების პროცესის ხელშეწყობა

მიზნის მისაღწევად შეასრულეთ შემდეგი **ამოცანები:**

- სამოქალაქო აქტივიზმის არსისა და მნიშვნელობის გააზრება;
- აქტიური სამოქალაქო საზოგადოების ჩამოყალიბების ხელშემწყობი გარემოებების გაანალიზება;
- სამოქალაქო აქტივიზმის როლის გააზრების შედეგად აქტიური სამოქალაქო საზოგადოების ჩამოყალიბების ხელშემწყობი სათანადო ქმედებების განხორციელება.

მოსალოდნელი შედეგები:

მოსწავლეები ინფორმაციას ფლობენ სამოქალაქო აქტივიზმის არსისა და მნიშვნელობის შესახებ, იაზრებენ აქტიური სამოქალაქო საზოგადოების ჩამოყალიბების ხელშემწყობ გარემოებებს, შედეგად კი ხელს უწყობენ მათ გარშემო მყოფი საზოგადოების ინფორმირებულობისა და ცნობიერების დონის ზრდას აღნიშნული მიმართულებით.

აქტივობების ნიმუშები

აქტივობა	აქტივობის მიზანი	ქვეაქტივობები
შეხვედრა მოწვეულ სტუმართან - ვებინარი "სამოქალაქო აქტივიზმი" - არსი, მნიშვნელობა	მოსწავლეებმა სიღრმისეული ინფორმაცია მიიღონ სამოქალაქო აქტივიზმის არსისა	*ამ საკითხებზე მომუშავე პროფესიონალი ადამიანების მოწვევა, რომლებიც მოხალისეობრივად ჩაატარებენ შეხვედრებს სამოქალაქო აქტივიზმის არსისა და მნიშვნელობის შესახებ; (შესაძლოა, იყოს მშობელიც, რომელიც აქტიური მოქალაქეა და ამ მიმართულებით საქმიანობს, ეს პროექტში მშობელთა ჩართულობას უზრუნველყოფს); *შეხვედრის დანიშვნა და მოსწავლეთა მოწვევა;

	და მნიშვნელობის შესახებ; გაიაზრონ სამოქალაქო აქტივიზმთან დაკავშირებით არსებული პრობლემები და გამოწვევები;	*შეხვედრისთვის ოთახისა და შესაბამისი აღჭურვილობის შერჩევა/მომზადება.
სასკოლო გამოკითხვა - სამოქალაქო აქტივიზმის ისტორიის/არსებული გამოცდილების კვლევა საზოგადოებაში/თემში/ ქალაქში/	მოსწავლეებმა დაინახონ სასკოლო საზოგადოების დამოკიდებულება სამოქალაქო აქტივიზმისადმი და განსაზღვრონ მათი ჩართულობის დონე საზოგადოებრივი პრობლემების მოგვარებაში.	კვლევის სამიზნე აუდიტორიის განსაზღვრა (მოსწავლეები, მშობლები, მასწავლებლები, სკოლის ადმინისტრაცია/დირექცია); *კითხვარის შემუშავება - კითხვარის საშუალებით გამოიკვლიეთ საზოგადოებაში სამოქალაქო აქტვიზმის მიმართულებით არსებული გამოცდილება, განსაზღვრეთ საკითხის მიმართ ინფორმირებულობის დონე და მათი, როგორც მოქალაქეების ჩართულობა საზოგადოებრივი პრობლემების მოგვარებაში; *რესპონდენტებთან გასაუბრება და მონაცემთა შეგროვება; *მონაცემთა ანალიზი (შედეგების გამოყენება მომდევნო აქტივობების განხორციელებისას); *კვლევის ანგარიშის მომზადება პრეზენტაციის სახით (რა გამოიკვეთა პრობლემად და საპასუხოდ რა განხორციელდა პროექტის ფარგლებში) და სასკოლო საზოგადოებისთვის მისი წარდგენა დასკვნით ღონისძიებაზე. იხილეთ რეკომანდაციები კვლევის კითხვარის შემუშავებასთან დაკავშირებით.
საინფორმაციო კამპანიის წარმოება სოციალური გვერდის საშუალებით: სოციალური გვერდის (მაგ; ახალგაზრდები სამოქალაქო აქტივიზმის ხელშესაწყობად) შექმნა; ყოველკვირეული საინფორმაციო ფურცლების - ელექტრონული leaflet-ების და პოსტების მომზადება პროექტის აქტივობების შესახებ	მოსწავლეებმა შეძლონ სამოქალაქო აქტივიზმის მნიშვნელობის, ასევე, აქტიური სამოქალაქო საზოგადოების ჩამოყალიბების პროცესში მოქალაქის როლის გააზრება სა საზოგადოებისთვის ამ ინფორმაციის მიწოდეაბ	*საზოგადოებასთან ურთიერთობაზე პასუხისმგებელი მოსწავლეების შერჩევა; *ეს მოსწავლეები ყოველკვირეულად მოამზადებენ და გაავრცელებენ საინფორმაციო ფურცლებს - ელექტრონულ leaflet-ებს (მაგალითად, თემებზე: სამოქალაქო აქტივიზმის არსი და მნიშვნელობა; სამოქალაქო აქტივიზმის ფორმები; სამოქალაქო აქტივიზმის ისტორია, სამოქალაქო აქტივიზმის წარმატებული მაგალითები და მათი პოზიტიური გავლენა საზოგადოებაზე**);** *მთლიანი პროექტის განმავლობაში განხორციელებული აქტივობებისა და თემატური საინფორმაციო პოსტების განთავსება ონლაინ სივრცეში; **ადამიანური რესურსი**: საზოგადოებასთან ურთიერთობაზე მომუშავე მოსწავლეები
სამოქალაქო აქტივიზმის შესახებ დოკუმენტური/მხატვრ	მოსწავლეებმა გააანალიზონ სამოქალაქო	*მოსწავლეთა მხრიდან თანატოლგანმანათლებელთა მეთოდის გამოყენებით შეხვედრების ორგანიზება;

ული ფილმების კვირეული	აქტივიზმის მნიშვნელობა ქვეყნის დემოკრატიული პროცესების, კარგი მმართველობის დანერგვისა და სოციალური საკითხების გადაჭრის პროცესში.	*ორგანიზატორების მიერ ფილმების ჩვენებისთვის მზადება; თანატოლებისთვის სადისკუსიო კითხვების მომზადება; *ფილმის ჩვენებისთვის აუდიტორიის მომზადება და ტექნიკური დეტალების გარკვევა (ინტერნეტი, აღჭურვილობა); *ფილმზე მოსაწვევების მომზადება და გავრცელება; * ფილმების ჩვენება და განხილვა/დისკუსია **ტექნიკური აღჭურვილობა**: ლეპტოპი, პროექტორი, მოსაწვევები; ფილმის განხილვის სადისკუსიო კითხვარი
პანელური დისკუსია/ მრგვალი მაგიდა - "სამოქალაქო აქტივიზმის როლი ქვეყანაში დემოკრატიული ღირებულებების ჩამოყალიბების პროცესში"	მოსწავლეებმა იმსჯელონ და გაიაზრონ სამოქალაქო აქტივიზმთან დაკავშირებული სირთულეები და განსაზღვრონ მისი გადაჭრის კონკრეტული გზები; ასევე, შემლონ სამოქალაქო აქტივიზმსა და დემოკრატიული ღირებულებების ჩამოყალიბებას შორის მიზეზ-შედეგობრივი კავშირის დანახვა	*მოსწავლეთა მხრიდან "მრგვალი მაგიდის" ორგანიზება ან პანელური დისკუსიისთვის სივრცის მოწყობა; * სამოქალაქო აქტივიზმით დაინტერესებული მოსწავლეების მოწვევა (პანელური დისკუსია შესაძლებელია, სხვა სკოლის მოსწავლეთა ჩართულობითაც გამართოთ. მაგალითად, მოიწვიოთ ისინი თქვენს "მრგვალ მაგიდაზე" მონაწილეობის მისაღებად და ერთად იმსჯელოთ საკითხის მნიშვნელობაზე, რაც ურთიერთანამშრომლობის, კომუნიკაციისა და ცოდნის გაზიარების ხელშეწყობას უზრუნველყოფს მოსწავლეებს/სკოლებს შორის; *მოსწავლეების მხრიდან მონაწილეთა რაოდენობის განსაზღვრა; *მოსწავლეების მხრიდან სადიკუსიო საკითხებისა და "მრგვალი მაგიდისათვის" დროის განსაზღვრა; *პანელური დისკუსიისათვის მოდერატორის შერჩევა.
"City Walk" - საფეხმავლო ტური "დემონსტრაციების კვალდაკვალ"	მოსწავლეები თვითონ გაივლიან საქართველოში სამოქალაქო აქტივიზმის ისტორიის ნაკვალევს, მოინახულებენ იმ ადგილებს, სადაც მოქალაქეთა დემონსტრაციები ტარდებოდა	* საფეხმავლო ტურის დაგეგმვა/ორგანიზება ლოკაციების შერჩევა, რომელიც უკავშირდება საქართველოში არსებულ დემონსტრაციებს და სამოქალაქო აქტივიზმის ისტორიას (აღნიშნულ ტურს პროექტის ორგანიზატორი მოსწავლეები აორგანიზებენ); *კონკრეტული დღის შერჩევა , მოსწავლეთა ინფორმირება, მონაწილეთა განსაზღვრა, ტურის შესახებ მცირე ინფორმაციის წინასწარ მიწოდება; * ტურისთვის შესაბამისი მარშრუტის წინასწარ განსაზღვრა; * ტურის ფარგლებში საჭირო ვიდეო/ ფოტო მასალის მომზადება საფეხავლო ტურის მსვლელობისას;

	თავისუფლებისთვის ბრძოლის, საკუთარი უფლებების დაცვისთვის და ადგილზე მიიღებენ ინფორმაციას, გაეცნობიან მასალებს; იმსჯელებენ და გაიაზრებენ სამოქალაქო აქტივიზმის - დემონსტრაციების როლს სამოქალაქო საზოგადოებაში არსებული პრობლემების მოგვარებისას.	*სადისკუსიო კითხვების წინასწარ მომზადება მიღებული ინფორმაციისა და სამოქალაქო აქტივიზმის მნიშვნელობის გასააზრებლად. **(საფეხმავლო ტურის აღწერილობითი რუკის მომზადება, რომელიც მომდევნო აქტივობის ფარგლებში შექმნილ "სამოქალაქო აქტივიზმის მოგონებების კრებულში" შევა)**
"სამოქალაქო აქტივიზმის მოგონებების კრებულის" შექმნა - აქტივიზმის მაგალითები, რომელსაც საკუთარ თემში მოიძიებენ	მოსწავლეებმა დაანახონ გარშემო მყოფებს აქტიური სამოქალაქო საზოგადოების არსებობის მნიშვნელობა და როლი საზოგადოებრივი პრობლემების დაძლევის პროცესში	*მოსწავლეთა მიერ "სამოქალაქო აქტივიზმის მოგონებების კრებულისათვის" დიზაინის, ფორმატისა და შინაარსის შემუშავება; *დასკვნით ღონისძიებაზე სასკოლო საზოგადოებისთვის კრებულის წარდგენა
დასკვნითი ღონისძიება: **"სამოქალაქო აქტივიზმის მოგონებების კრებულის წარდგენა;** **სამოქალაქო** **აქტივიზმის** **არქივის/მუზეუმის** **მოწყობა** **პროექტის შეჯამება**	მოსწავლეებმა შემოქმედებითად წარმოაჩინონ სამოქალაქო აქტივიზმის განხორციელების წინაშე არსებული გამოწვევები; პროექტის როგორც მონაწილეებმა, ისე სტუმრებმა დაინახონ საკუთარი როლი საზოგადოებრივი პრობლემების	*დასკვნითი ღონისძიების ორგანიზება - შესაბამისი აუდიტორიისა თუ ტექნიკური აღჭურვილობის მომზადება; * სამოქალაქო აქტივიზმის არქივის/მუზეუმის მოწყობა - მასში იქნება სხვადასხვა სექცია თემებისა და მიმართულებების მიხედვით, სადაც განთავსდება პოსტერები, ფოტო-ვიდეო, ბეჭდური მასალა მნახველებისთვის ცნობიერებისა და ინფორმირებულობის დონის ასამაღლებლად, მაგალითად: - სამოქალაქო აქტივიზმი - თავისუფლებისთვის ბრძოლა; - სამოქალაქო აქტივიზმი - ქალთა უფლებებისთვის ბრძოლა; - სამოქალაქო აქტივიზმი - ბრძოლა თანასწორობისთვის (მაგ: შავკანიანთა უფლებების დაცვის მოძრაობები); - სამოქალაქო აქტივიზმი - ეკოლოგია, გარემოს დაცვა;

	დაძლევის პროცესში; მოსწავლეებმა სასკოლო საზოგადოებას გააცნონ მათი პროექტის ფარგლებში შექმნილი „სამოქალაქო აქტივიზმის მოგონებების კრებული”; ასევე, მათ მიერ განხორციელებული პროექტის შედეგები; პროექტის მონაწილე მოსწავლეების დაჯილდოება.	- სამოქალაქო აქტივიზმი - თანამედროვე მაგალითები. *ღონისძიებაზე გამომსვლელთა იდენტიფიცირება; *სასკოლო საზოგადოების მოწვევა; *დონორი ორგანიზაციის წარმომადგენლების/ მხარდამჭერი პირების მოწვევა (ასეთის არსებობის შემთხვევაში); *მონაწილეთა სერტიფიკატებით დაჯილდოება. **ტექნიკური აღჭურვილობა:** ხმის გამაძლიერებელი, მიკროფონები

III ეტაპი - თანამშრომლობა და პროექტის განხორციელება

რეკომენდაცია მასწავლებელს

მოსწავლეებს სთხოვეთ, თქვენთან ერთად ჩაატარონ მცირე კვლევა და აღნიშნულ საკითხებზე მომუშავე ორგანიზაციები ან აქტიური მოქალაქეები მოიძიონ. შემდეგ კი, საჭიროების შემთხვევაში, ერთობლივად აირჩიეთ, ვის მიმართავთ პროექტში ჩართულობის თხოვნით.

რაც შეეხება სასკოლო საზოგადოების ინფორმირებას, პროექტის ნაბიჯების შესახებ მუდმივად გააცანით მათ ინფორმაცია; ამისათვის გამოიყენეთ სკოლის სოციალური გვერდი, საინფორმაციო დაფა და ა.შ. შესაძლოა, პროექტის განმახორციელებელთა ჯგუფში გამოყოფილი ჰყავდეთ საზოგადოებასთან ურთიერთობაზე პასუხისმგებელი მოსწავლეები, რომლებიც ყოველკვირეულად მოამზადებენ პოსტებს პროექტის მიმდინარეობის შესახებ.

დაინტერესებულ მხარეთა ანალიზი - პოტენციური მხარდამჭერები

თანამონაწილეთა მოძიება

პროექტის განხორციელება შეხვედრებს ითვალისწინებს სამოქალაქო აქტივიზმის არსის გასააზრებლად, რისთვისაც საჭიროა სტუმრების/ტრენერების მოწვევა. მცირე ფინანსების გამო, შესაძლებელია, ოფიციალური თხოვნით მიმართოთ შესაბამის ორგანიზაციებს/ადამიანებს, რომლებიც გამოცდილნი არიან შერჩეულ თემებში. მოსწავლეებმა მათ თქვენთან ერთად უნდა გააცნონ პროექტის მიზანი და სთხოვონ, მოხალისეობრივად ჩაატარონ მათთვის შეხვედრები აღნიშნულ საკითხებზე.

შეხვედრების მოწყობა

სასურველია, მოსწავლეებმა ითანამშრომლონ სკოლის პედაგოგებთან, რომლებსაც აქტიური როლის შესრულება შეუძლიათ პროექტის ფარგლებში მომზადებული რესურსების სკოლის მასშტაბით გავრცელებაში. ეფექტური თანამშრომლობისთვის მნიშვნელოვანია, მოწვეულ სტუმრებს (მასწავლებლები, მშობლები თუ სხვა დაინტერესებული პირები) წინასწარ წერილობით შევატყობინოთ დაგეგმილი შეხვედრების შესახებ.

სკოლის თვითმმართველობის ჩართულობა

სასკოლო პროექტები გაცილებით ეფექტური იქნება, თუკი ისინი მთელ სკოლას მოიცავს, რაშიც სკოლის თვითმმართველობა ნამდვილად შეძლებს დახმარებას. კლასის წარმომადგენელს შეუძლია, თვითმმართველობის სხვა წევრებს ინფორმაცია მიაწოდოს დაგეგმილი შეხვერდებისა და აქტივობების შესახებ, რაც მოსწავლეთა მონაწილეობასა და ჩართულობას გაზრდის.

სამოქალაქო აქტივიზმის საკითხებზე მომუშავე ორგანიზაციები/საჯარო სტრუქტურები

გთავაზობთ აღნიშნულ საკითხებზე მომუშავე ორგანიზაციების/საჯარო სტრუქტურების ჩამონათვალს, რომლებთანაც შეგიძლიათ თანამშრომლობის დამყარება:

- სამოქალაქო აქტივიზმისა და ჩართულობის ცენტრი - https://www.facebook.com/civicengagementandactivismcenter/?ref=bookmarks
- სამოქალაქო საზოგადოების ინსტიტუტი - https://civilin.org
- მოძრაობა „ხმა“ - https://www.facebook.com/ModzraobaKhma
- CARC • სამოქალაქო აქტივიზმის კვლევის ცენტრი - https://www.facebook.com/carcge
- სოციალური სამართლიანობის ცენტრი - https://socialjustice.org.ge
- საზოგადოებრივი ორგანიზაციების ვებპორტალი - www.csogeorgia.org

IV ეტაპი - მდგრადობა

რეკომენდაცია მასწავლებელს	*პროექტის დასაწყისში შექმენით პრე და პოსტ ტესტები (იხილეთ ნიმუშები:), რომლებსაც შედეგის გასაზომად გამოიყენებთ; ასევე, მოსწავლეების ჩართულობით გამოკვეთეთ ის ღონისძიებები, რაც შეიძლება, პროექტის მდგრადობის ხელშემწყობი გახდეს.*

პროექტის შეფასება

პროექტის შედეგების გასაზომად, სასურველია, დასაწყისში და ბოლოს პრე და პოსტ ტესტები ჩატარდეს, რომლებიც დაგვანახებს, თუ რამდენად შეიმეცნეს მოსწავლეებმა ახალი საკითხის შესახებ; გარდა ამისა, პროექტის დასრულების შემდეგ, მნიშვნელოვანია რეფლექსია იმისა, თუ რა განხორციელდა პროექტის ფარგლებში წარმატებით; რა ხელის შემშლელი ფაქტორებისა და გამოწვევების წინაშე აღმოჩნდნენ; რისი განხორციელებაა საჭირო მომავალში ამ სირთულეების თავიდან ასარიდებლად.

პროექტის მდგრადობა

პროექტის შედეგების შენარჩუნებისთვის აუცილებელია კონკრეტული ნაბიჯების გადადგმა, მაგალითად, მოსწავლეებმა შეძლონ სამოქალაქო აქტივიმზის შესახებ ცნობიერების ასამაღლებლად სკოლაში შექმნილი სივრცის შენარჩუნება. სივრცე მუდმივი უნდა იყოს და სასკოლო საზოგადოების თითოეულ წევრი შეძლებს, იქ გაეცნოს საკითხთან დაკავშირებულ გამოწვევებსა და ინფორმაციას, და ერთად იზრუნებენ სასკოლო

საზოგადოების აქტიურ მოქალაქეებად ჩამოყალიბებაზე. მოსწავლეებს შეუძლიათ, საინფორმაციო კამპანიაც განაგრძონ მათ მიერ სოციალურ ქსელში შექმნილი გვერდის საშუალებით, რომლის დახმარებითაც პერიოდულად საჭირო და სასარგებლო ინფორმაციას მიაწვდიან საზოგადოებას პროექტის თემატიკასთან დაკავშრებით; ასევე, შესაძლებელია, სკოლაში შექმნილი „სამოქალაქო აქტივიზმის მოგონებების კრებულის" პერიოდულად განახლება და მისი სასწავლო რესურსად გამოყენებაც.

მოსალოდნელი რისკები:

- თემატიკის სპეციფიკურობიდან გამომდინარე, სასკოლო საზოგადოების მხრიდან პროექტის აქტივობებში (მაგალითად, გამოკითხვაში) მონაწილეობისთვის თავის არიდება;
- სკოლაში არსებული არა საკმარისი სივრცე სამოქალაქო აქტივიზმის არქივის/ მუზეუმის მოსაწყობად; ამ შემთხვევაში შესაძლებელია ღია სივრცის გამოყენებაც ან თანამშრომლობა სხვა სკოლებთან თუ ორგანიზაციებთან, სივრცის გამოსაყოფად.
- რეგიონების შემთხვევაში შესაძლოა, გამოწვევა იყოს საფეხმავლო ტურის მოწყობა; მისი ჩანაცვლება შესაძლებელია ვირტუალური ფეხტურით და ყველა იმ ადგილისა თუ ფაქტის ონლაინ სივრცეში ჩვენებით, რომელიც სამოქალაქო აქტივიზმის ისტორიასა და აღნიშნული პრობლემების მოსაგვარებლად გამართულ დემონსტრაციებს უკავშირდება საქართველოში.

შეფასება სოლოტაქსონომიის მიხედვით

	საზოგადოება	**დემოკრატია**	**სამოქალაქო მონაწილეობა**	**მდგრადი განვითარება**
მიმართებითი დონე	მოსწავლე აანალიზებს სათემო ცხოვრებაში მონაწილეობას, როგორც ადამიანის მოთხოვნილებების (სოციალიზაცია, პატივისცემა, თვითდამკვიდრება) დასაკმაყოფილებელ აუცილებელ წინაპირობას.	მოსწავლე აკავშირებს დემოკრატიის პრინციპებს ცხოვრებისეულ სიტუაციებთან და სამოქალაქო აქტივიზმის როლსა და მნიშვნელობას იაზრებს დემოკრატიული საზოგადოების ჩამოყალიბების პროცესში.	მოსწავლე ხედავს საკუთარ, როგორც აქტიური მოქალაქის, როლსა და მნიშვნელობას თემში არსებული გამოწვევების შემცირების პროცესში; სამოქალაქო აქტივიზმის შესახებ საზოგადოების ინფორმირებით ხელს უწყობს აქტიური სამოქალაქო საზოგადოების ჩამოყალიბებას.	მოსწავლე აცნობიერებს სამოქალაქო აქტივიზმში ჩართულობის პოზიტიურ შედეგებს გრძელვადიან პერსპექტივაში; ხედავს საკუთარი, როგორც მოქალაქის როლს გლობალური პრობლემების მოგვარებაში.

პროექტი 3. საერთაშორისო ჰუმანიტარული სამართალი შეიარაღებული კონფლიქტის დროს

თემა	ადამიანის უფლებები
საკითხი	საერთაშორისო ჰუმანიტარული სამართალი
მიზანი	სასკოლო საზოგადოებაში საერთაშორისო ჰუმანიტარული სამართლის შესახებ ცნობიერების ამაღლება და მოსწავლეებში სამართლებრივი უნარ-ჩვევების ჩამოყალიბება
საგანთაშორისი ინტეგრაცია	ისტორია, გეოგრაფია, უცხოენა

პროექტის შესაბამისობა მოქალაქეობის სამიზნე ცნებებთან

საზოგადოება	დემოკრატია	სამოქალაქო მონაწილეობა	მდგრადი განვითარება
• მოსწავლეები გააცნობიერებენ, თუ რა მნიშვნელობა აქვს ჰუმანიტარული სამართლის არსებობას პიროვნული განვითარების ხელშეწყობის პროცესში; • მოსწავლეები გაიაზრებენ ადამიანის სხვადასხვა მოთხოვნილების (ფიზიოლოგიური, უსაფრთხოების, თვითგამოხატვის) უზრუნველყოფის საჭიროებას საომარი პროცესების დროს.	• მოსწავლეები დააკავშირებენ დემოკრატიის პრინციპებს სამშვიდობო პროცესებთან; • გაიაზრებენ საერთაშორისო ჰუმანიტარული სამართლის როლს და მნიშვნელობას დემოკრატიული საზოგადოების ჩამოყალიბების პროცესში.	• მოსწავლეები გააცნობიერებენ სამშვიდობო პროცესებში საკუთარ, როგორც აქტიური მოქალაქის, როლსა და მნიშვნელობას; • იზრუნებენ მათი ჩართულობით სამშვიდობო პროცესებთან დაკაშირებული გამოწვევების შემცირებაზე და პრობლემის მოგვარებაზე; • საერთაშორისო ჰუმანიტარული სამართლის შესახებ საზოგადოების ინფორმირებით ხელს შეუწყობენ სამშვიდობო პროცესებს.	• გააცნობიერებენ სამშვიდობო პოცესებში ჩართულობის პოზიტიურ შედეგებს გრძელვადიან პერსპექტივაში; • გააანალიზებენ მოქალაქის როლს სამშვიდობო პროცესებსა და გლობალური პრობლემების მოგვარებაში.

პროექტის კავშირი დემოკრატიული კულტურის კომპეტენციებთან

ღირებულებები: ადამიანის ღირსებისა და უფლებების დაფასება; დემოკრატიის, სამართლიანობის, კეთილსინდისიერების, თანასწორობისა და კანონის უზენაესობის დაფასება.

დამოკიდებულებები: პატივისცემა; მოქალაქეობრივი აზროვნება; თავდაჯერებულობა; გაურკვევლობისადმი შემწყნარებლური დამოკიდებულება.

უნარები: დამოუკიდებლად სწავლის უნარ-ჩვევები; ანალიტიკური და კრიტიკული აზროვნების უნარ-ჩვევები; ემპათია; მოქნილობა და შეგუება; თანამშრომლობის უნარ-ჩვევები.

ცოდნა და კრიტიკული გააზრება: საკუთარი თავის შეცნობა და კრიტიკული გააზრება; მსოფლიოს ცოდნა; შემეცნება და კრიტიკული აღქმა.

I ეტაპი - პრობლემის იდენტიფიცირებისა და დასაბუთების ეტაპი

პრობლემის იდენტიფიცირებისა და დასაბუთებისთვის გადასადგმელი ნაბიჯები

გონებრივი იერიში -საერთაშორისო ჰუმანიტარული სამართლის არსი და მნიშვნელობა;
საერთაშორისო ჰუმანიტარული სამართლის განმარტების შეთავაზება;
საერთაშორისო ჰუმანიტარული სამართლისა და ომის დანაშაულის შესახებ ვიდეო /ფოტო რესურსების გაზიარება მოსწავლეებისთვის;
„ომის სამართალი" - მსოფლიოში/ საქართველოში მომხდარი ფაქტების გაზიარება - დისკუსია/ მსჯელობა;
მასალის დამუშავება და დისკუსიის მოწყობა შემდეგი საკვანძო კითხვებით:

რა არის ჰუმანიტარული საერთაშორისო სამართალი და ვის იცავს ის?
როგორ უზრუნველყოფს საერთაშორისო ჰუმანიტარული სამართალი მშვიდობიანი მოსახლეობის დაცვას?
რა როლი აქვს საერთაშორისო ჰუმანიტარულ სამართალს შეიარაღებული კონფლიქტების დროს და როდის იწყებს ის მოქმედებას?
რატომ და როგორ იცავს ქალებისა და ბავშვების უფლებებს საერთაშორისო ჰუმანიტარული სამართალი?
რატომ უნდა გავზარდოთ საერთაშორისო ჰუმანიტარული სამართლის შესახებ ცნობიერება სასკოლო საზოგადოებაში?
რატომ არის მნიშვნელოვანი, აღნიშნული პროექტის განხორციელებით, სამართლებრივი უნარ-ჩვევების ჩამოყალიბება მოსწავლეებში?

<u>საჭირო რესურსები</u> - პროექტორი, ლეპტოპი (ვიდეო/ფოტო რესურსები საჭიროებისა

რეკომენდაცია მასწავლებელს

შემოთავაზებული პროექტის ნიმუში მასში გამოკვეთილ საკითხს საერთაშორისო ჰუმანიტარული სამართლის ფართო კონტექსტში განიხილავს, თუმცა, შესაძლოა, სხვადასხვა ქვესაკითხად ჩაიშალოს (მაგალითად: საერთაშორისო ჰუმანიტარული სამართალი და ადამიანის უფლებები; საერთაშორისო ჰუმანიტარული სამართალი და ომი/შეიარაღებული კონფლიქტები; საერთაშორისო ჰუმანიტარული სამართალი - ქალები ომში; საერთაშორისო ჰუმანიტარული სამართალი, როგორც ბავშვთა უფლებების დაცვის მექანიზმი...) და თითოეულ ქვესაკითხზე დამოუკიდებელი პროექტი შეიქმნას. იმისათვის, რომ მაღალი იყოს მოსწავლეთა მონაწილეობის ხარისხი, უმჯობესია, კონკრეტული მიმართულება თავად აირჩიონ, რაშიც შემოთავაზებული რესურსები დაგეხმარებათ.

პრობლემის დასაბუთების ნიმუში

დღევანდელ მსოფლიოში ცივილიზებული სახელმწიფოების მნიშვნელოვანი წილი დიდ ძალისხმევას იჩენს მშვიდობის მშენებლობის (მაგ: გაეროს მე-16 მიზნის - მშვიდობა, სამართლიანობა, ძლიერი ინსტიტუტები - შესრულება) ხელშესაწყობად, ომების თავიდან არიდებისა და მათი მძიმე შედეგების შესამცირებლად. მიუხედავად ამისა, შეიარაღებული კონფლიქტების დროს საფრთხე ექმნება ადამიანის სიცოცხლეს და მათი უფლებების უხეში დარღვევის ფაქტებიც ძალიან ხშირია. ამ საკითხის სიღრმისეულად გასააზრებლად

მნიშვნელოვანია, მოსწავლეებს სკოლის ასაკიდანვე ჩავუნერგოთ და დავეხმაროთ საკუთარი უფლება-მოვალეობების გაცნობიერებაში, რაც დემოკრატიულ ღირებულებებზე დაფუძნებული სამოქალაქო ცნობიერების ჩამოყალიბებასა და მათი, როგორც მოქალაქეების, როლის გააზრებას უზრუნველყოფს სამშვიდობო პროცესებში.
შეიარაღებული კონფლიქტების დროს ადამიანის - როგორც სამოქალაქო, ისე სამხედრო პირების: საბრძოლო მოქმედებებისას ომის მსხვერპლების, სამხედრო ტყვეების, დაჭრილების, მშვიდობიანი მოსახლეობის, დაღუპულების დასაცავად საერთაშორისო ჰუმანიტარული სამართალი მოქმედებს. შესაბამისად, მნიშვნელოვანია მოქალაქეთა მიერ მისი არსისა და მნიშვნელობის გააზრება.

საერთაშორისო ჰუმანიტარული სამართალი არის საერთაშორისო სამართლის დარგი, რომელიც იცავს ომის მსხვერპლს და ზღუდავს ომის წარმართვის მეთოდებსა და საშუალებებს. საერთაშორისო ჰუმანიტარული სამართალი საერთაშორისო (ქვეყნებს შორის) შეიარაღებული კონფლიქტის დროს, ან სამოქალაქო (ქვეყნის შიგნით) ომის პირობებში გამოიყენება.
"საერთაშორისო ჰუმანიტარული სამართალი მიზნად ისახავს იმ პირთა დაცვას, რომლებიც აღარ ან არ იღებენ მონაწილეობას საომარ მოქმედებებში. საერთაშორისო შეიარაღებულ კონფლიქტებში მოქმედი ჟენევის კონვენციები ეხება: მოქმედ ჯარში დაჭრილთა და ავადმყოფთა დაცვას (I კონვენცია); საზღვაო შეიარაღებულ ძალებში დაჭრილთა და ავადმყოფთა, ხომალდის დაღუპვაში მოყოლილ პირთა დაცვას (II კონვენცია); სამხედრო ტყვეების დაცვას (III კონვენცია); სამოქალაქო პირების, მათ შორის, იძულებით გადაადგილებული პირების, ქალების, ბავშვების, ლტოლვილების, მოქალაქეობის არმქონე პირების, ჟურნალისტებისა და სხვა კატეგორიის პირთა დაცვას (IV კონვენცია და I დამატებითი ოქმი.)"[3]
ომში დაუშვებელია მშვიდობიან მოქალაქეებზე განზრახ თავდასხმა; ასევე, არ შეიძლება იმ სამოქალაქო ინფრასტრუქტურის განადგურება, რომელიც სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანია; აკრძალულია ზოგიერთი, მათ შორის, ქიმიური და ბიოლოგიური იარაღის გამოყენება; განსაკუთრებულ დანაშაულად ითვლება განზრახ მკვლელობა, გაუპატიურება, კონკრეტული ჯგუფის ეთნიკურ, რასაობრივ, რელიგიურ ნიადაგზე მასობრივი დევნა, განადგურება ან კიდევ უფრო მძინე დანაშაული - გენოციდი.
მსოფლიოში არსებობს წარსულსა თუ თანამედროვეობაში მომხდარი ომის დანაშაულის არაერთი ფაქტი, მაგალითად:
- "რუანდის გენოციდი", რომელიც 1994 წელს მოხდა რუანდაში და ეთნიკურ ნიადაგზე 800 000 ადამიანის მასობრივი ხოცვა-ჟლეტვა განხორციელდა;
- "სრებრენიცის გენოციდი," რომლის დროსაც 1995 წლის ივლისის შუა რიცხვებში, ბოსნიელი სერბები გაეროს ე.წ. "უსაფრთხო ზონაში", ბოსნიასა და ჰერცოგოვინაში, შეიჭრნენ და მეორე მსოფლიო ომის შემდეგ ყველაზე მძიმე დანაშაული ჩაიდინეს ევროპის ტერიტორიაზე - 8 000-ზე მეტი ბოსნიელი მუსლიმი კაცისა და 15 წლის ზემოთ ასაკის ბიჭების მკვლელობა;
- უკრაინელი ხალხის გენოციდად აღიარებული ჰოლოდომორი, სსრკ-ს რუსეთის მიერ ხელოვნურად შექმნილი მასობრივი შიმშილობა, რომელმაც 2,2 დან 3 მილიონამდე უკრაინელი ხალხის სიცოცხლე შეიწირა;
- მეორე მსოფლიო ომის დროს ჩადენილი გენოციდი - ჰოლოკოსტი.
ასევე, მნიშვნელოვანია, ამ კუთხით გავაანალიზოთ რუსეთ-უკრაინის მიმდინარე ომი და უკრაინელი ხალხის წინააღმდეგ განხორციელებული პროცესები, რომელშიც ნამდვილად იკვეთება ომის არაერთი სასტიკი დანაშული: სამხედროებისა თუ სამოქალო პირების წამება, მოკვლა, ქალებსა და ბავშვებზე სექსუალური ძალადობა, გაუპატიურება, ქვეყნიდან ბავშვების იძულებით გაყვანა და გაშვილება, სამოქალაქო ინფრასტრუქტურის დაბომბვა, მათ შორის, საავადმყოფოების, საცხოვრებელი შენობებისა თუ სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანი ინფრასტრუქტურის განადგურება.

[3] https://shsplatforma.files.wordpress.com/2016/05/shs-da-adamianis-uflebebis-samartali2.pdf

ომის დანაშაულზე საუბრისას უნდა აღინიშნოს საქართველოში აფხაზეთის ომის დროს მომხდარი ფაქტები: სეპარატისტები და მათი თანამებრძოლები საშინლად გაუსწორდნენ აფხაზეთის მშვიდობიან ქართულ მოსახლეობას - მარტო ქალაქ გაგრაში 1000-მდე მშვიდობიანი მოქალაქე გამოასალმეს სიცოცხლეს სასტიკი წამებით, თუმცა, ქართველების განადგურებამ პიკს ქალაქ სოხუმში მიაღწია - ქალაქის აღების შემდეგ 1000-მდე სოხუმელი საშინელი წამების მსხვერპლი გახდა. ეთნიკური წმენდა და მშვიდობიანი მოსახლეობის განადგურების საშინელი ფაქტები დაფიქსირებულია გუდაუთის, სოხუმის, ოჩამჩირისა და გალის მუნიციპალიტეტებში. სეპარატისტები ხშირ შემთხვევაში მათ მიერ აღებული სოფლების ქართულ მოსახლეობას თითქმის მთლიანად ანადგურებდნენ; რაც შეეხება 2008 წლის რუსეთ-საქარველოს ომს, მის შედეგად იძულებით გადაადგილებულ პირთა ახალი ტალღა წარმოიშვა და 28000-მდე ადამიანი დევნილი გახდა, არაერთი ადამიანი დაშავდა განხორციელებული საომარი მოქმედებების შედეგად. ომის დროს, ასევე, ხშირი იყო მოქალაქეთა უკანონოდ დაკავება და მათ მიმართ წამებისა და არასათანადო მოპყრობის ფაქტები როგორც სამხედრო, ისე სამოქალაქო პირების მიმართ. ამას მოწმობს ქართველი ჯარისკაცის, საქართველოს ეროვნული გმირის - გიორგი ანწუხელიძის მიმართ განხორციელებული სასტიკი წამების ფაქტი, რის შედეგადაც იგი გარდაიცვალა.

მნიშვნელოვანია, მოსწავლეებმა გააცნობიერონ, თუ რა მნიშვნელლობა აქვს ჰუმანიტარული სამართლის არსებობას პიროვნული განვითარების ხელშეწყობისა და ადამიანის უფლებათა გაცნობიერების პროცესში, შესაბამისად, საჭიროა ცნობიერების ამაღლება სკოლის ასაკიდანვე დაიწყოს; მოსწავლეებში გაიზარდოს ცოდნა ომის დანაშაულის შესახებ; მოსწავლეებმა გაიაზრონ სამშვიდობო პროცესებში საკუთარი, როგორც აქტიური მოქალაქის როლი და მნიშვნელობა, იზრუნონ თავიანთი ჩართულობით სამშვიდობო პროცესებთან დაკაშირებული გამოწვევების შემცირებასა და პრობლემების მოგვარებაზე, რასაც ხელს სწორედ აღნიშნული პროექტის განხორციელება შეუწყობს.

რესურსები პრობლემის იდენტიფიცირებისა და პროექტის აქტივობების განხორციელებისთვის

- დამხმარე მასალა მასწავლებლებისთვის: საერთაშორისო ჰუმინატრული სამართალი -https://www.living-democracy.com/ge/textbooks/volume-3/part-1/unit-4/tool-5/
- საერთაშორისო ჰუმანიტარული სამართლის საფუძვლების სწავლება საქართველოს ზოგადსაგანმანათლებლო სკოლებში - **ht**tp://www.nplg.gov.ge/greenstone3/library/collection/samartal/document/HASH01ec211967d1ee6c992a8493?ed=1
- საერთაშორისო ჰუმანიტარული სამართალი და ადამიანის უფლებათა საერთაშორისო სამართალი - https://shsplatforma.files.wordpress.com/2016/05/shs-da-adamianis-uflebebis-samartali2.pdf
- სამოქალაქო მოსახლეობა ომის დროს და ჰუმანიტარული სამართალი - https://www.civiceducation.ge/ka/lessons/1-7
- საერთაშორისო ჰუმანიტარული სამართლის იმპლემენტაციის 2022-2023 წლების სამოქმედო გეგმა - https://justice.gov.ge/files/Hup9JYrVma8a.pdf
- ომისა და კონფლიქტების გავლენა ქალებისა და გოგოების ცხოვრებაზე - https://www.youtube.com/watch?v=x136RcwTRYM
- თავშესაფრის მაძიებელთა და ჰუმანიტარული სტატუსის მქონე პირთა დაცვა და გაძლიერება საქართველოში - https://www.youtube.com/watch?v=x1fsIoAbZaA
- სირიიდან კონფლიქტს გამოქცეული ქალი - https://www.youtube.com/watch?v=52IFZMouUw4
- იმიტირებული სასამართლო პროცესი - წესები / ნიმუში - https://gyla.ge/files/banners/წესები.pdf
- როგორ შევქმნათ google-ის კითხვარი
- ელექტრონული კომიქსის შექმნა

II ეტაპი - მიზნების, ამოცანებისა და მათ მისაღწევად საჭირო აქტივობების გამოკვეთა

რეკომენდაცია მასწავლებელს

შემოთავაზებული პროექტი სარეკომენდაციო ხასიათისაა. მოცემული მიზნები, ამოცანები თუ აქტივობები შესაძლებელია, კონკრეტულად თქვენი მოსწავლეების საჭიროებებსა და ხედვას მოერგოს. მნიშვნელოვანია, რომ ამ პროექტის ფარგლებში, მოზარდებთან ერთად, აუცილებლად ჩართოთ მათი მშობლები, მასწავლებლები; გაიზიაროთ მათი გამოცდილება და ღიად ისაუბროთ აღნიშნული საკითხის მნიშვნელობაზე, ხელი შეუწყოთ მოსწავლეებისა და მათ გარშემო არსებული საზოგადოების ურთიერთთანამშრომლობას კონკრეტულ საკითხებზე; მისცეთ მათ თანაბარი ჩართულობისა და სხვადასხვა აქტივობაში მონაწილეობის შესაძლებლობა.

მოსწავლეების ჩართულობისა და მონაწილეობის ხარისხის გასაზრდელად ეს მასალა სანიმუშოდ შესთავაზეთ მათ და ერთად (მასწავლებლის დახმარებით) განსაზღვრეთ პროექტის დეტალები.

პროექტის მიზნის, ამოცანებისა და აქტივობების ნიმუში

მიზანი: სასკოლო საზოგადოებაში საერთაშორისო ჰუმანიტარული სამართლის შესახებ ცნობიერების ამაღლება და მოსწავლეებში სამართლებრივი უნარ-ჩვევების ჩამოყალიბება

მიზნის მისაღწევად შეასრულეთ შემდეგი **ამოცანები:**

- საერთაშორისო ჰუმანიტარული სამართლის არსისა და მნიშვნელობის გააზრება;
- კონკრეტული მაგალითების გაცნობის საფუძველზე საერთაშორისო ჰუმანიტარული სამართლის როლის გაცნობიერება შეიარაღებული კონფლიქტების დროს;
- მოსწავლეებში პრაქტიკული სამართლებრივი უნარ-ჩვევების ჩამოყალიბება და შესაბამისი ქმედებების განხორციელება.

მოსალოდნელი შედეგები:

მოსწავლეები აცნობიერებენ საერთაშორისო ჰუმანიტარული სამართლის არსსა და მნიშვნელობას, ფლობენ ინფორმაციას მისი შექმნის ისტორიის შესახებ, იცნობენ მის ძირითად პრინციპებსა და სამართლებრივ დოკუმენტებს; იაზრებენ თუ, რა შემთხვევაში გამოიყენება საერთაშორისო ჰუმანიტარული სამართლი და რა როლი აქვს მას შეიარაღებული კონფლიქტების დროს. შედეგად გამოიმუშავებენ პრაქტიკულ სამართლებრივ უნარ-ჩვევებს და ხელს უწყობენ გარშემო მყოფი საზოგადოების ინფორმირებულობის ზრდას აღნიშნული საკითხების შესახებ.

აქტივობების ნიმუშები

აქტივობა	აქტივობის მიზანი	ქვეაქტივობები
შეხვედრა მოწვეულ სტუმართან - "საერთაშორისო ჰუმანიტარული სამართლის არსსა და მნიშვნელობაზე"	მოსწავლეებმა სიღრმისეული ინფორმაცია მიიღონ საერთაშორისო ჰუმანიტარული სამართლის არსისა და მნიშვნელობის შესახებ; გაიაზრონ ომისა და შეიარაღებული კონფლიქტების დროს ადამიანების წინაშე არსებული პრობლემები და გამოწვევები.	*აღნიშნულ საკითხებზე მომუშავე პროფესიონალი ადამიანების მოწვევა, რომლებიც მოხალისეობრივად ჩაატარებენ შეხვედრებს საერთაშორისო ჰუმანიტარული სამართლის არსის, მისი შექმნის ისტორიის, სამართლებრივი დოკუმენტებისა (ჟენევის კონვენციები) და პრინციპების შესახებ; *შეხვედრის დანიშვნა და მოსწავლეთა მოწვევა; *შეხვედრისთვის ოთახისა და შესაბამისი აღჭურვილობის შერჩევა/მომზადება
კინოსაღამოების მოწყობა - "ომის სამართალი თუ დანაშაული? " დოკუმენტური და მხატვრული ფილმების ჩვენება/ დისკუსია	მოსწავლეებმა გააანალიზონ ომის დანაშაულის არსი; ასევე, შეიარაღეული კონფლიქტის დროს მშვიდობიანი მოსახლეობის წინაშე არსებული საფრთხეები და გამოწვევები.	*ორგანიზატორების მიერ კინოსაღამოების ორგანიზება; თანატოლებისთვის სადისკუსიო კითხვების მომზადება; *ფილმის ჩვენებისთვის აუდიტორიის მომზადება და ტექნიკური დეტალების გარკვევა (ინტერნეტი, აღჭურვილობა); *ფილმის მოსაწვევების მომზადება და გავრცელება; *დოკუმენტური/ მხატვრული ფილმების ჩვენება და განხილვა/დისკუსია **ტექნიკური აღჭურვილობა**: ლეპტოპი, პროექტორი, მოსაწვევები ფილმის განხილვის სადისკუსიო კითხვარი იხ. დანართი 1
წითელი ჯვრისა და ნახევარმთვარის შესახებ საინფორმაციო შეხვედრების მოწყობა; სასკოლო საზოგადოების ჩართულობა; მოხალისეობის მსურველთა მობილეზება	მოსწავლეები შეძლებენ სასკოლო საზოგადოებაში წითელი ჯვრისა და ნახევარმთვარის საქმიანობის შესახებ მიღებული ინფორმაციის გაზიარებას.	*საქართველოს წითელი ჯვრის საზოგადოებასთან თანამშრომლობა, მათი წარმომადგენლების მოწვევა და მათი საქმიანობის გაცნობა სასკოლო საზოგადოებისთვის; *სასკოლო საზოგადოებაში თანატოლგანმანათლებელთა პრინციპით წითელი ჯვრის/წითელი ნახევარმთვარის შესახებ

		საინფორმაციო შეხვედრების მოწყობა, ბროშურების/ საინფორმაციო ბარათების მომზადება; * სასკოლო საზოგადოებაში წითელი ჯვრის მოხალისეობის მსურველთა მოძიება
ერთი დღე საქართველოს წითელ ჯვართან ერთად - "გახდი წითელი ჯვრის მოხალისე" - ვიდეო დღიურების მომზადება	მოსწავლეებმა პრაქტიკაში განხორციელებული ქმედებებით გაიაზრონ წითელი ჯვრისა და წითელი ნახევარმთვარის საქმიანობა და მისი მნიშვნელობა;	*სასკოლო საზოგადოებაში წითელ ჯვარში მოხალისეობის მსურველთა შერჩევა; * წითელი ჯვრის საზოგადოებაში მოხალისეების ჩართულობის ორგანიზება; *მოხალისეობის დროს ვიდეო დღიურის გადაღების ნებართვა/ გადაღება; *გადასაღები პირების/ ობიექტების განსაზღვრა; *საჭირო ადამიანური რესურსისა და ტექნიკური აღჭურვილობის მოძიება; * ვიდეო დღიურის გადაღება/ გავრცელება სოციალური ქსელის მეშვეობოთ (ვიდეო დღიურების შექმნაში მოიაზრება მოხალისეების მიერ განხორციელებული საქმიანობის ამსახველი ვლოგების შექმნა და მათი გავრცელება)
სიტუაციური სავარჯიშო: შეიარაღებული კონფლიქტის დროს დაჭრილ მებრძოლთათვის სამედიცინო დახმარების გაწევა	მოსწავლეებმა პრაქტიკაში განხორციელებული ქმედებებით გაიაზრონ წითელი ჯვრისა და წითელი ნახევარმთვარის საქმიანობა და მათი მნიშვნელობა შეაიარაღებული კონფლიქტის დროს	*სიტუაციური სავარჯიშოს სცენარის შექმნა; *მოსწავლეების დაყოფა ჯგუფებად და მათთვის შესაბამისი როლების მინიჭება (სამხედრო პერსონალი, დაჭრილი ტყვეები,წითელი ჯვრის წარმომადგენლები, სამედიცინო პერსონალი, სამოქალაქო პირები - მშვიდობიანი მოსახლეობა...); *სიტუაციური სავარჯიშოს განხორციელებისთვის მონაწილეთა შერჩევა; *სავარჯიშოს შესრულების დროის განსაზღვრა და სივრცის სათანადოდ მოწყობა; *ჰუმანიტარული სამართლის პრინციპების დაცვით სიტუაციური სავარჯიშოს სცენარის შესრულება.
კონკურსი კომიქსის შესაქმნელად: შერჩეული ილუსტრაციებითა და რეალური ქეისებით მოთხრობილი ომის დანაშაული	მოსწავლეებმა გაიაზრონ და შემოქმედებითად წარმოაჩინონ ომის დანაშაული; ასევე, ამ დროს დარღვეული ადამიანის უფლებები; მოსწავლეებმა გაიაზრონ მსოფლიოში/	* კონკურსის გამოცხადება; *კონკურსისთვის კრიტერიუმების შემუშავება; *კონკურსის ჟიურის წევრების შერჩევა; *მიღებული ილუსტრაციების გადარჩევა; *მოსწავლეთა მიერ კომიქსის დიზაინის, ფორმატისა და შინაარსის შემუშავება;

	საქართველოში მომხდარი ომის დანაშაულები; შემოქმედებითად წარმოაჩინონ მათი არსი და მიღებული ცოდნა ფართო საზოგადოებას გაუზიარონ.	*მოსწავლეთა მიერ შერჩეული ილუსრაციებითა და რეალური ქეისებით კომიქსის შექმნა; *დასკვნით ღონისძიებაზე სასკოლო საზოგადოებისათვის მისი წარდგენა.
იმიტირებული სასამართლო პროცესის - ომის დანაშაული -განხილვა	მოსწავლეები იმიტირებულ სასამართლო პროცესში ჩართულობით პრაქტიკულ სამართლებრივ უნარ-ჩვევებს განივითარებენ.	*იმიტირებული სასამართლო პროცესის ჩასატარებლად სხდომის დარბაზით სარგებლობისთვის ელექტრონული განაცხადის გაგზავნა საქალაქო/რაიონულ სასამართლოში (შესაძლებელია, მოეწყოს სასკოლო სივრცეშიც). * იმიტირებული სასამართლო პროცესისთვის ქეისის შერჩევა; *იმიტირებული სასამართლო პროცესის მონაწილეებისთვის როლების შერჩევა და ინფორმაციის მიწოდება მათთვის პროცესის შესაბამისად წარმართვის მიზნით. ** (ნიმუში მოცემულია სასწავლო რესურსებში)*
დასკვნითი ღონისძიება: წითელი ჯვრის მოხალისეთა ვიდეოდღიურების წარდგენა; **შექმნილი კომიქსის წარდგენა;** **სასკოლო რეგიონული შეჯიბრის გამართვა საერთაშორისო ჰუმანიტარულ სამართალში** **პროექტის შეჯამება**	მოსწავლეებმა შემოქმედებითად წარმოაჩინონ საერთაშორისო ჰუმანატირული სამართლის მნიშვნელობა და როლი მშვიდობიანი მოსახლეობის უფლებების დაცვის პროცესში; მოსწავლეებმა სასკოლო საზოგადოებას გააცნონ მათი პროექტის ფარგლებში შექმნილი კომიქსი, ასევე, მათ მიერ განხორციელებული პროექტის შედეგები; პროექტის მონაწილე მოსწავლეების დაჯილდოება	*დასკვნითი ღონისძიების ორგანიზება - შესაბამისი აუდიტორიისა თუ ტექნიკური აღჭურვილობის მომზადება; *ღონისძიებაზე გამომსვლელთა იდენტიფიცირება; * რეგიონული მასშტაბით მოსწავლეთა სხვადასხვა გუნდის მოწვევა - **საერთაშორისო ჰუმანიტარულ სამართალში რეგიონული შეჯიბრის მოწყობა (გუნდებს შორის ვიქტორინა; კაზუსის განხილვა; ილუსტრაციის ანალიზი) - გამარჯვებული გუნდის გამოვლენა;** *დონორი ორგანიზაციის წარმომადგენლების/ მხარდამჭერი პირების მოწვევა (ასეთის არსებობის შემთხვევაში); *მონაწილეთა დაჯილდოება სერტიფიკატებით **ტექნიკური აღჭურვილობა:** ხმის გამაძლიერებელი, მიკროფონები

III ეტაპი - თანამშრომლობა და პროექტის განხორციელება

რეკომენდაცია მასწავლებელს

მოსწავლეებს სთხოვეთ, თქვენთან ერთად ჩაატარონ მცირე კვლევა და აღნიშნულ საკითხებზე მომუშავე ორგანიზაციები ან აქტიური მოქალაქეები მოძებნონ. შემდეგ, საჭიროების შემთხვევაში, ერთობლივად აირჩიეთ, ვის მიმართავთ პროექტში ჩართულობის თხოვნით.

რაც შეეხება სასკოლო საზოგადოების ინფორმირებას, პროექტის ნაბიჯების შესახებ მუდმივად გააცანით ინფორმაცია მათ, გამოიყენეთ სკოლის სოციალური გვერდი, საინფორმაციო დაფა და ა.შ. შესაძლოა, პროექტის განმახორციელებელთა ჯგუფში გამოყონ საზოგადოებასთან ურთიერთობაზე პასუხისმგებელი მოსწავლეები, რომლებიც ყოველკვირეულად პოსტებს მოამზადებენ პროექტის მიმდინარეობის შესახებ.

დაინტერესებულ მხარეთა ანალიზი - პოტენციური მხარდამჭერები

თანამონაწილეთა მოძიება

პროექტის განხორციელება შეხვედრებს ითვალისწინებს საერთაშორისო ჰუმანიტარული სამართლის არსისა და მნიშვნელობის შესახებ. შესაბამისად, საჭიროა სტუმრების/ტრენერების მოწვევა. მცირე ფინანსების გამო, შესაძლებელია, ოფიციალური თხოვნით მიმართოთ შესაბამის ორგანიზაციებს/ადამიანებს, რომლებიც გამოცდილნი არიან შერჩეულ თემებში. მოსწავლეებმა მათ თქვენთან ერთად უნდა გააცნონ პროექტის მიზანი და სთხოვონ, მოხალისეობრივად ჩაატარონ მათთვის შეხვედრები აღნიშნულ საკითხებზე.

შეხვედრების მოწყობა

სასურველია, მოსწავლეებმა ითანამშრომლონ სკოლის პედაგოგებთან, რომლებსაც აქტიური როლის შესრულება შეუძლიათ პროექტის ფარგლებში მომზადებული რესურსების სკოლის მასშტაბით გავრცელების პროცესში. იმისათვის, რომ ეფექტური თანამშრომლობა შედგეს, მნიშვნელოვანია, მოწვეულ სტუმრებს (მასწავლებლები, მშობლები თუ სხვა დაინტერესებული მხარეები) წინასწარ წერილობით შევატყობინოთ დაგეგმილი შეხვედრების შესახებ.

სკოლის თვითმმართველობის ჩართულობა

სასკოლო პროექტები გაცილებით ეფექტური იქნება, თუკი მთელ სკოლას მოიცავს, რაშიც სკოლის თვითმმართველობას ნამდვილად შეუძლია დახმარება. კლასის წარმომადგენელს შეუძლია, დაგეგმილი შეხვერდებისა და აქტივობების შესახებ ინფორმაცია გააცნოს თვითმმართველობის სხვა წევრებს, რაც მოსწავლეთა მონაწილეობასა და ჩართულობას გაზრდის.

საერთაშორისო ჰუმანიტარული სამართლის საკითხებზე მომუშავე ორგანიზაციები/საჯარო სტრუქტურები

გთავაზობთ აღნიშნულ საკითხებზე მომუშავე ორგანიზაციების/საჯარო სტუქტურების ჩამონათვალს, რომლებთანაც შესაძლებელია თანამშრომლობის დამყარება:

- საქართველოს წითელი ჯვრის საზოგადოება https://www.facebook.com/GeorgiaRedCross/?locale=ka_GE
- წითელი ჯვრის საერთაშორისო კომიტეტი (ICRC) https://www.facebook.com/ICRCGeo/?locale=ka_GE
- საქართველოს იუსტიციის სამინისტრო https://justice.gov.ge
- იუსტიციის სასწავლო ცენტრი http://www.tcj.gov.ge
- საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრო https://www.moh.gov.ge
- საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო

IV ეტაპი - მდგრადობა

რეკომენდაცია მასწავლებელს

პროექტის დასაწყისში შექმენით პრე და პოსტ ტესტები (იხილეთ ნიმუშები (დანართი 2):), რომლებსაც შედეგის გასაზომად გამოიყენებთ; ასევე, თავად მოსწავლეების ჩართულობით ის ღონისძიებები გამოკვეთეთ, რამაც შეიძლება, პროექტის მდგრადობას შეუწყოს ხელი.

პროექტის შეფასება

პროექტის შედეგების გასაზომად, სასურველია, დასაწყისში და ბოლოს პრე და პოსტ ტესტები ჩატარდეს, ეს დაგვანახებს, თუ რამდენად გაიგეს მოსწავლეებმა ახალი საკითხის შესახებ; გარდა ამისა, პროექტის დასრულების შემდეგ მნიშვნელოვანია რეფლექსია იმისა, თუ რა განხორციელდა პროექტის ფარგლებში წარმატებით; რა ხელის შემშლელი ფაქტორებისა და გამოწვევების წინაშე აღმოჩნდნენ? რისი განხორციელებაა საჭირო მომავალში ამ სირთულეების თავიდან ასარიდებლად?

პროექტის მდგრადობა

პროექტის შედეგების შენარჩუნებისთვის აუცილებელია კონკრეტული ნაბიჯების გადადგმა, მაგალითად, მოსწავლეებმა ყოველწლიური სახე მისცენ აღნიშნულ საკითხებზე მუშაობას, გამართონ კონფერენციები და ყოველწლიური სასკოლო შეჯიბრება საერთაშორისო ჰუმანიტარული სამართლის შესახებ. მოსწავლებს, ასევე, შეუძლიათ, განაგრძონ საინფორმაციო კამპანია ამ საკითხის ირგვლივ; სოციალურ ქსელში შექმნან ოფიციალური გვერდი, რომლის საშუალებით პერიოდულად საჭირო და სასარგებლო ინფორმაციას მიაწვდიან საზოგადოებას პროექტის თემატიკასთან დაკავშირებით.

მოსალოდნელი რისკები:

- თემატიკის სპეციფიკურობიდან გამომდინარე, სასკოლო საზოგადოების მხრიდან პროექტის აქტივობებში (მაგალითად, გამოკითხვაში) მონაწილეობისგან თავის არიდება;
- თემატიკის სპეციფიკურობისა და მოსწავლეთა ასაკობრივი ჯგუფიდან გამომდინარე, ვიდეო დღიურების გადაღებაში მონაწილეობის მისაღებად მშობლებისგან თანხმობის ვერ მიღება.

შეფასება სოლოტაქსონომიის მიხედვით

	საზოგადოება	**დემოკრატია**	**სამოქალაქო მონაწილეობა**	**მდგრადი განვითარება**
მიმართებითი დონე	მოსწავლე აანალიზებს, თუ როგორ ზღუდავს ომის დანაშაული ადამიანის თავისუფალ პიროვნულ განვითარებასა და მისი (ფიზიოლოგიური, უსაფრთხოების, თვითგამოხატვის) მოთხოვნილებების დაკმაყოფილებას.	მოსწავლეს ესმის ომის დანაშაულთან დაკავშირებული სამართლებრივი დოკუმენტების არსი და იაზრებს დემოკრატიის პრინციპებსა და ჰუმანიტარული სამართლის დაცვას შორის ურთიერთკავშირს.	მოსწავლე გამოკვეთს ომის დანაშაულთან დაკავშირებულ საფრთხეებსა და გამოწვევებს; იაზრებს, თუ როგორ შეიტანოს საკუთარი წვლილი აღნიშნული პრობლემის შემცირებასა და აღმოფხვარაში.	მოსწავლე აანალიზებს ომის დანაშულთან დაკავშირებულ რისკებსა და გამოწვევებს და ომის უარყოფით გავლენას გრძელვადიან პერსპექტივაში განიხილავს.

კაზუსის ნიმუშები საერთაშორისო ჰუმანიტარული სამართლის შესახებ

კაზუსი N1

"ლიჩი ეკონომიკურად განვითარებული სახელმწიფოა, რომლის სამხრეთ-აღმოსავლეთ რეგიონში მდებარეობს გრეტა. გრეტაში 730.000 ადამიანი ცხოვრობს, რომელთა უმრავლესობაც ჩერიანიდის რელიგიის მიმდევარია. ეს ის რელიგიური უმცირესობაა, რომელიც თვლის, რომ მრავალი წლის მანძილზე იდევნებოდა ლიჩის სახელმწიფოს მიერ. ორი წლის წინ გრეტას მოსახლეობამ რეგიონული არჩევნები ჩაატარა. ლიდერად რეგიონში ერთ-ერთი პოლიტიკური პარტიის ხელმძღვანელი ჰენრი კუპი აირჩიეს, რომელმაც ლიჩის სახელმწიფოსგან გამოყოფა მოითხოვა. გრეტაში შექმნილმა შეიარაღებულმა დაჯგუფებამ, ჰენრი კუპის მეთაურობით, ადგილობრივ ხელისუფლებაზე მიიტანა იერიში, დაამხო ის და საკუთარი ადგილობრივი მთავრობა ჩამოაყალიბა.

როდესაც ლიჩის ცენტრალურმა ხელისუფლებამ სამხრეთ-აღმოსავლეთ რეგიონში არსებული მდგომარეობის შესახებ შეიტყო, წინააღმდეგობის გასაწევად სამხედრო დანაყოფები შეიყვანა რეგიონში, რასაც შედეგად შეტაკება და მსხვერპლი მოჰყვა.

რეგიონში არსებობს ორი დამოუკიდებელი სახელმწიფო, რომლებსაც მტრული დამოკიდებულება აქვთ ლიჩის სახელმწიფოსთან. მათგან ვესტფალდის სახელმწიფომ ისარგებლა შემთხვევით და ლიჩის არმიის დასუსტების მიზნით გრეტას შეიარაღებული ჯგუფის სამხედრო აღჭურვილობით მომარაგება დაიწყო. დაზვერვის ეროვნული სამსახურის ცნობით, ვესტფალდის სახელმწიფო რეგულარულად აძლევს ინსტრუქციებს შეიარაღებულ დაჯგუფებას სამხედრო მოქმედებების წარმართვაზე და ფინანსურ დახმარებასაც უწევს მათ.

რამდენიმე დღიანი შეიარაღებული დაპირისპირების შემდეგ ლიჩის ცენტრალურმა ხელისუფლებამ რეგიონში სამხედრო შენაერთების მობილიზება და მოწინააღმდეგე მხარის დამარცხება შეძლო. გადარჩენილ, დაკავებულ სამხედროთაგან ხელისუფლება ზოგს შეიარაღებულ კონფლიქტში მონაწილეობისთვის ასამართლებს, ზოგს კი - ჩადენილი ომის დანაშაულის გამო (სამოქალაქო მოსახლეობის განზრახ მკვლელობა, რომელიც რამდენიმე შემთხვევით დასტურდება).

ქვეყნის ჩრდილოეთით ჯაკიმას სახელმწიფო მდებარეობს, რომელმაც, ასევე, ისარგებლა ლიჩის სახელმწიფოში არსებული სიტუაციით და შეიარაღებული ძალები გაგზავნა ქვეყნის სამხრეთით არსებულ კუდას რეგიონში, დაამხო იქ ადგილობრივი რეჟიმი და სრული კონტროლი მოიპოვა. ინფორმაცია არსებობს იმასთან დაკავშირებით, რომ ჯაკიმას სახელმწიფო ამ ტერიტორიაზე საკუთარ მოსახლეობას ასახლებს, რათა მასზე კონტროლი კიდევ უფრო მეტად გაამყაროს. კუდას მოსახლეობამ გადაწყვიტა, ქალაქში მომხდარი სიტუაცია მშვიდობიანი გზით გაეპროტესტებინა და ფართომასშტაბიანი აქციები წამოიწყო. ახლად დაფუძნებულმა მთავრობამ პროტესტს მასობრივი დაკავებით უპასუხა. განმარტეს, რომ დაკავება ეროვნული უშიშროების მოტივით იყო განპირობებული.

ინფორმაცია არსებობს იმასთან დაკავშირებითაც, რომ დაკავებულ პირებს სცემენ და სხვაგვარადაც ძალადობენ მათზე. ამასთან ცნობილია, რომ ახლად შექმნილმა მთავრობამ დაკავებული პირების მოსანახულებლად წითელი ჯვრის საერთაშორისო კომიტეტი არ დაუშვა."[4]

კაზუსი N2

"2015 წელს არკადიას საპარლამენტო არჩევნებში რეფორმატორთა პარტიამ გაიმარჯვა, რომელმაც სასტიკი ბრძოლა გამოუცხადა კორუფციას და დანაშაულს. რამდენიმე თვეში კორუფციისა და ნარკოტიკებით ვაჭრობის ბრალდებით დააკავეს არკადიაში ყველაზე ფართოდ გავრცელებული რელიგიური მიმდინარეობის, „ეკე ჰომოს" უმაღლესი სეპტონი - ზარატუსტრა, რასაც ფართომასშტაბიანი გამოსვლები მოჰყვა. აღსანიშნავია, რომ „ეკე ჰომო" ნორლანდიაში, არკადიას მეზობელ სახელმწიფოში, სახელმწიფო რელიგიადაა გამოცხადებული, რის გამოც, ნორლანდიის პრეზიდენტმა, სირიუს მეროვინგენმა საგანგებო თათბირი გამართა, რომელზეც სასტიკად დაგმო არკადიაში მიმდინარე მოვლენები და სრული მხარდაჭერა აღუთქვა ზარატუსტრას.

2015 წლის 13 ნოემბერს, დისტოპიაში, არკადიას დედაქალაქში, მოვლენები დაიძაბა და არეულობაში გადაიზარდა. არკადიას პრეზიდენტმა საგანგებო მდგომარეობა გამოაცხადა და მომიტინგეებს დაშლისაკენ მოუწოდა, თუმცა, ამის პასუხად დემონსტრანტებმა მოლოტოვის კოქტეილები დაუშინეს პოლიციელებს. პრეზიდენტმა ბრძანებულება გამოსცა, რომლის მიხედვითაც 20:00 საათის შემდეგ ქუჩებში გადაადგილება აიკრძალა, რასაც მომიტინგეები არ დაემორჩილნენ. შეტაკებისას ათობით მომიტინგე და პოლიციელი დაიღუპა. სხვადასხვა მედია საშუალებები და არასამთავრობო ორგანიზაციები ავრცელებდნენ ინფორმაციას, რომ ორივე მხრიდან ცეცხლსასროლი იარაღიც გამოიყენეს.

[4] კაზუსი N1; - წყარო : იუსტიციის სასწავლო ცენტრი http://www.tcj.gov.ge

15 ნოემბერს არკადიას პრეზიდენტმა საგანგებო პრეს-კონფერენცია მოიწვია და საზოგადოებას კონტრდაზვერვის მიერ მოპოვებული მტკიცებულებები წარუდგინა, რომელთა თანახმად, ქვეყანაში მიმდინარე არეულობა პირდაპირ ნორლანდიიდან ფინანსდებოდა, ზარატუსტრა კი აქტიურად თანამშრომლობდა ნორლანდიის სპეც-სამსახურებთან.

ამან კიდევ უფრო გააღიზიანა „ეკე ჰომოს“ მიმდევრები და 16 ნოემბერს ქუჩები კვლავაც მომიტინგეებით გაივსო. პოლიცია მათ ველარ უმკლავდებოდა, რის გამოც პრეზიდენტმა ნებართვა გასცა სამხედრო ნაწილების გამოყენებაზე.

მოულოდნელად, 17 ნოემბერს, ფისნიაში (ნორლანდიის მოსაზღვრე არკადიულ რეგიონში) დისლოცირებულმა არკადიას ბატალიონმა გადაწყვიტა, არ დამორჩილებოდა პრეზიდენტის ბრძანებას და თავიანთ უზენაეს სუვერენად ზარატუსტრა გამოეცხადებინათ. 18 ნოემბერს ფისნიის ბატალიონის მეთაურმა ნორლანდიის თავდაცვის მინისტრთან შეხვედრა გამართა და ხელი მოაწერა შეთანხმებას, რომლის საფუძველზეც ბატალიონი ოფიციალურად შეუერთდა ნორლანდიის შეიარაღებულ ძალებს.

18 ნოემბრის საღამოს არკადიას პრეზიდენტმა განაცხადა, რომ ნორლანდია ფისნიის ოკუპაციას ახორციელებდა. მან შესაბამისი ნოტა გააგზავნა გაეროს უშიშროების საბჭოში, რომელშიც აღნიშნული იყო, რომ არკადია თავდაცვის უფლების ფარგლებში იმოქმედებდა, გაეროს წესდების 51-ე მუხლის მიხედვით.

19 ნოემბერს, არკადიას სამთავრობო ჯარები ფისნიას მიუახლოვდნენ, რა დროსაც ამბოხებულმა ადგილობრივმა ბატალიონმა მათ ცეცხლი გაუხსნა. არკადიას ჯარებმა 20 ნოემბრის გამთენიისთვის აჯანყებულები განაიარაღეს, ტყვედ აიყვანეს და ფისნიაზე სრული კონტროლი დააწესეს.

20 ნოემბერს დისტოპიაში პიკს მიაღწია არეულობამ და მსხვერპლი 1000-მდე გაიზარდა. მომიტინგეები და საჯარისო ნაწილები ავტომატებსა და ხელყუმბარებს იყენებდნენ. „ეკე ჰომოს“ ოფიციალურმა ტელეარხმა ციხიდან ზარატუსტრას მიმართვა გამოაქვეყნა, რომლის თანახმადაც, არკადიას პრეზიდენტი, ურანის ღმერთის, „კასაბლანკას“ მოციქული იყო და მზის ღმერთის, „ბორმენტალის“ გადაწყვეტილებით, ზარატუსტრა დღეიდან თავად წარმოადგენდა ქვეყნის მმართველს. ის, ასევე, მოუწოდებდა ნორლანდიის პრეზიდენტს, გადაერჩინა მოძმე ერი აპოკალიფსისგან და არკადიაში „კასაბლანკას“ მოციქულის მმართველობა დაესრულებინა.

21 ნოემბერს ნორლანდიის პრეზიდენტმა განაცხადა, რომ არკადია თავს დაესხა ნორლანდიის შეიარაღებულ ძალებს ფისნიაში, რაც ავტომატურად, ნორლანდიაზე თავდასხმას ნიშნავდა. იმავე დღეს მან უბრძანა ნორლანდიის შეიარაღებულ ძალებს: ა) გაეთავისუფლებინათ ტყვედ აყვანილი ბატალიონის წევრები, რომლებიც სამხედრო ტყვეებს წარმოადგენდნენ, და ბ) ზარატუსტრას, როგორც არკადიას ლეგიტიმური მმართველის, მოწვევის საფუძველზე დაეკავებინათ არკადიას დედაქალაქი და მოქმედი პრეზიდენტი დაეპატიმრებინათ.

21 ნოემბრის საღამოს ნორლანდიის ძალებმა მასობრივი იერიში მიიტანეს არკადიაზე. მისი ტერიტორია მრავალი სახის იარაღიდან დაბომბეს, მათ შორის, არკადიას მთავარი ბაზის

მიმართულებით გაისროლეს ბალისტიკური რაკეტაც, რომელიც ტექნიკური წუნის გამო არ აფეთქდა, მაგრამ თავზე დაეცა კერძო სახლს და 3 ადამიანი იმსხვერპლა. ნორლანდიის ჯარებმა, სამხედრო ობიექტების გარდა, საავადმყოფოებიც დაბომბეს, რომლებიც ახლოს მდებარეობდა არკადიას სამხედრო ბაზებთან და ამას ათასობით მშვიდობიანი მოქალაქის დაღუპვა მოჰყვა. მიზეზად ის დასახელდა, რომ იქ არკადიას ჯარისკაცები იმალებოდნენ, რაც შენობებს ავტომატურად აქცევდა სამხედრო ობიექტებად.

23 ნოემბრის საღამოს ნორლანდიის ჯარები არკადიას დედაქალაქში შეიჭრნენ. პრეზიდენტი ქვეყნიდან გაიქცა. იმავე დღეს, ნორლანდიის პრეზიდენტი დისტოპიაში ჩავიდა და ზარატუსტრასთან ცეცხლის შეწყვეტის მემორანდუმს მოაწერა ხელი, რომლის მიხედვითაც, არკადია საბოლოოდ იტყოდა უარს დემოკრატიული ინსტიტუტების მშენებლობაზე, ზარატუსტრას მეთაურობით დამყარდებოდა „ეკე ჰომოსა“ და მზის ღმერთის, „ბორმენტალის“, დიქტატურა, სანაცვლოდ კი ნორლანდია სრულად გაიყვანდა ჯარებს ოკუპირებული ტერიტორიებიდან. მართლაც, რამდენიმე დღეში, ნორლანდიის ჯარებმა არკადიას ტერიტორია სრულად დატოვეს, ხოლო ფისნიაში განთავსებულმა ბატალიონმა ზარატუსტრას აღუთქვა ერთგულება.

არკადიას გაქცეულმა პრეზიდენტმა თავშესაფარი ფრანკონიაში მიიღო. მან პრეს-კონფერენცია გამართა და განაცხადა, რომ ზარატუსტრა ნორლანდიის პრეზიდენტის მარიონეტი იყო და ჯარების გასვლის მიუხედავად, არკადია მაინც ოკუპირებულად ითვლებოდა ნორლანდიის მიერ. ფრანკონიის, რომელიც გაეროს უშიშროების საბჭოს მუდმივი წევრია, პრეზიდენტის ინიციატივით უშიშროების საბჭოს საგანგებო სხდომა მოიწვიეს, რომელზეც გადაწყდა, რომ უშიშროების საბჭო, წითელი ჯვრის საერთაშორისო კომიტეტთან თანამშრომლობით, შექმნიდა საერთაშორისო სამართლის ექსპერტთა ჯგუფს, რომლის წევრებიც სათანადო სამართლებრივ შეფასებას მისცემდნენ მომხდარს.” [5]

დანართი 1

ფილმის განხილვის სადისკუსიო კითხვარი

ფილმის დასახელება:		
პრობლემა რა პრობლემას ეხება ფილმი?	• *სად და როდის ხდება მოქმედება?* • *ფილმში წარმოჩენილი პრობლემა როგორ ეხმიანება ჩვენს დღევანდელ რეალობას?*	
გადაწყვეტა	• როგორ ხდება პრობლემის გადაწყვეტა ფილმში?	• პრობლემის მოგვარების რომელ სხვა/დამატებით გზას ხედავთ?

[5] კაზუსი N2 - წყარო: ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის სამართლის სკოლა https://iliauni.edu.ge

შთაბეჭდილებები	• რომელი ეპიზოდი მოგეწონათ ყველაზე მეტად? რატომ?	• რომელი ეპიზოდი არ მოგეწონათ? რატომ?
სიახლე	• ფილმის მეშვეობით რა გაიგეთ ახალი /დავინახეთ სხვანაირად თქვენი პროექტის თემაზე? • რომელი წარმოდგენა გაგიმყარდათ / შეგისუსტდათ?	

დანართი 2

პრეტესტი

ინსტრუქციები:

- შეგიძლიათ ფორმა შეავსოთ ანონიმურად, ან დაწეროთ თქვენი სახელი და გვარი ქვემოთ: _____

თარიღი:_____ პროექტის დასახელება: _____

1. სქესი: (არააუცილებელი ველი)

❑ კაცი

❑ ქალი

2. როგორ შეაფასებდით თქვენს ცოდნას პროექტის თემასთან დაკავშირებით?
   - ❑ არარსებული ან მცირედი ცოდნა
   - ❑ ცნობილია ძირითადი საკითხები
   - ❑ კარგად ვფლობ ძირითად საკითხებს

**კონკრეტული პროექტის თემიდან გამომდინარე ემატება რამდენიმე თემატური შეკითხვა. მაგალითად, პროექტისთვის „ქალთა ისტორიული როლი“ თემატური კითხვები იქნება: ვინ იყო ჰეიდი ლამარი, რომელ გამომგონებელ ქალს იცნობთ, დაასახელეთ ცნობილი ქალები ავიაციის სფეროდან და ა.შ.)*

3. არის თუ არა რაიმე განსაკუთრებული რისი მიღებაც ამ პროექტიდან გსურთ/ელოდებით?

2 რამე რაც პროექტის თემაზე ვიცი	2 რამე რისი გაგებაც პროექტის მანძილზე მსურს

პოსტტესტი

ინსტრუქციები:

- შეგიძლიათ ფორმა შეავსოთ ანონიმურად, ან დაწეროთ თქვენი სახელი და გვარი ქვემოთ _____

თარიღი:_____ პროექტის დასახელება: _____

1. სქესი: (არააუცილებელი ველი)

❑ კაცი

❑ ქალი

2. როგორ შეაფასებდით თქვენს ცოდნას პროექტის თემასთან დაკავშირებით?
   - ❑ არარსებული ან მცირედი ცოდნა
   - ❑ ცნობილია ძირითადი საკითხები
   - ❑ კარგად ვფლობ ძირითად საკითხებს

**კონკრეტული პროექტის თემიდან გამომდინარე ემატება რამდენიმე თემატური შეკითხვა. მაგალითად, პროექტისთვის „ქალთა ისტორიული როლი“ თემატური კითხვები იქნება: ვინ იყო ჰეიდი ლამარი, რომელ გამომგონებელ ქალს იცნობთ, დაასახელეთ ცნობილი ქალები ავიაციის სფეროდან და ა.შ.). პრე ტესტისგან განსხვავებით, შესაძლებელია სრულიად ახალი თემატური კითხვების შემოტანაც ან იმავე საკითხზე ოდნავ სახეცვლილი შეკითხვების ჩასმა.*

3 ახალი რამე რაც პროექტის თემაზე გავიგე	2 რამე რასაც პროექტის დასრულების შემდეგაც გამოვიყენებ